პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 13 (11319)
ხუთშაბათი
15
იანვარი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

ქართველი ხალხი მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, გამოთქვამს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას — შეუპოვრად იბრძოლოს ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

რეზოლუცია საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობისა

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ამოცანები“, საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა ერთსულოვნად იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებებს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში მოცემულია საბჭოთა კავშირის განვითარებაში ახალი ისტორიული პერიოდის, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის ღომა და ყოველმხრივი დახასიათება. ეს დოკუმენტები აჯამებენ საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა შედეგს, წარმოადგენენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას.

საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული გადაწყვეტილებანი მიიღეს უდიდესი სიხარულითა და კმაყოფილებით. ეს გადაწყვეტილებანი მათ მიაჩნიათ უკვდავი ლენინური ანდერძის ცოცხალ განხორციელებად, მარქსიტულ-ლენინური მოძღვრების გამდიდრებად და განვითარებად. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის ახალ გამოვლინებად.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვაში. თეზისების განხილვაში საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე. პარტიული აქტივის კრებებზე. პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე მონაწილეობა მიიღო მილიონზე მეტმა კაცმა. რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა 5 ათასზე მეტი წერილი. წინადადება და შენიშვნა.

საბჭოთა ხალხი სკკპ XXI ყრილობას ეგებება მომავალი შვიდწლედის დიდებული ამოცანებით აღფრთოვანებული. შვიდწლედის გრანდიოზული ამოცანების განხორციელება ახალი ძალით ცხადყოფს სოციალისტური წყობილების უდიდეს უპირატესობას კაპიტალისტური წყობილების წინაშე. იგი იქნება უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იმ გზაზე, რომ გადავწყვიტოთ სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები ასახავენ კომუნისტური პარტიის დიდ ზრუნვას საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის აგრეთვე საქართველოს სსრ რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების. კომუნისტური პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების. ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური ურთიერთდახმარების შედეგად საბჭოთა საქართველომ დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მძლავრი თანამედროვე მრეწველობა. მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა. სასწავლებელთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი.

ღონისძიებანი. რომლებიც უკანასკნელ ხანს პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებისათვის. სახავენ რესპუბლიკის მთელი რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების. ეკონომიკისა და კულტურის უსწრაფესი განვითარების დიდ პერსპექტივებს.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, მტს-ების რეორგანიზაციამ და სხვა უმნიშვნელოვანესმა ღონისძიებებმა საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის უზრუნველყვეს ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

პარტიისა და მთავრობის მიერ განხორციელებული ყველა ამ ღონისძიების შედეგად მიღწეულია გარკვეული წარმატებანი საქართველოს სსრ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც. ხელმძღვანელობა მიუახლოვდა წარმოებას. ფართოდ გაიშალა მშრომელთა ინიციატივა, მკვეთრად შემცირდა არარაციონალური ტვირთზიდვა, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. გაფართოვდა პროდუქციის ასორტიმენტი და გაუმჯობესდა მისი ხარისხი, მოწესრიგდა მრეწველობის მთელი რიგი დარგებისა და მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების სტრუქტურა. 1958 წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა. 1957 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის მოცულობა გადიდდა 11,5 პროცენტით.

შვიდწლიანი გეგმით დასახულია უდიდესი ღონისძიებანი რესპუბლიკის მრეწველობის განვითარებისათვის. გათვალისწინებულია განმტკიცდეს სათბობ-ენერგეტიკული ბაზა. შემდგომ განვითარდეს შავი და ფერადი მეტალურგია, დაჩქარდეს ქიმიური მრეწველობის განვითარება. რომლის პროდუქცია 6-ჯერ გადიდდება. ყოველი ღონისძიებით გაფართოვდება ელექტროტექნიკური წარმოება და ხელსაწყოთმშენებლობა, მკვეთრად გადიდდება სამაგისტრალო ელექტრომავლების გამოშვება. მნიშვნელოვანი მასშტაბებით იწარმოებს საბინაო მშენებლობა.

შემდგომ განვითარდება კვების მრეწველობა, განსაკუთრებით ჩაისა და ღვინისა. კაპიტალდაბანდებათა მოცულობა შეადგენს 17 მილიარდამდე მანეთს, მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე წინა წლებში.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში მოპოვებულია სერიოზული წარმატებანი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. წინა ხუთწლედის — 1949-1953 წლების საშუალო წლიურ მაჩვენებლებთან შედარებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება 1958 წელს გადიდდა 45 ათასი ტონით, ხილისა და ციტრუსებისა — სამჯერ, ყურძნისა — თითქმის ორნახევარჯერ, თამბაქოსი — 2,8 ათასი ტონით, ხორცისა — ერთნახევარჯერ, რძისა — თითქმის ერთიორად.

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) და შემდგომი პლენუმების დადგენილებებს, პარტიის ისტორიული XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი წარმატებანი სახოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. წინა ხუთწლედთან — 1949-1953 წლებთან — შედარებით ხორცის საშუალო წლიური წარმოება 1954-1958 წლებში ერთნახევარჯერ გადიდდა. გაიზარდა აგრეთვე რძის, მატყლის წარმოება. 1958 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შექმნეს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზა. ჩადებულია მილიონნახევარი ტონა სილოსი — ეს თითქმის 10 ტონაა ყოველ ძროხაზე. შექმნილია კომბინირებული საკვების მრეწველობა.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში საქართველოს კოლმეურნეობებმა დახარჯეს თითქმის ორი მილიარდი მანეთი სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო შენობათა ასაგებად. აშენებულია მეცხოველეობის სადგომები 1.200 ათასი სულისათვის, საფრინველეები — 850 ათასი ფრთისათვის, თითქმის ერთი მილიონი ტონა საერთო ტევადობის სასილოსე ნაგებობანი. დიდი მუშაობა მიმდინარეობს საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაციის. წყალმომარაგებისა და კეთილმოწყობისათვის.

ახორციელებენ რა პარტიის გადაწყვეტილებებს. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები სწრაფად ავითარებენ სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების წარმოებას. 1958 წელს საქართველოს მეჩაიეებმა მოიყვანეს სარეკორდო მოსავალი, მოკრიფეს 133 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. ეს თითქმის ორნახევარჯერ მეტია, ვიდრე 1940 წელს, და რამდენიმე ათეულჯერ მეტი, ვიდრე რევოლუციამდელ პერიოდში. მეჩაიეები ისახავენ ამოცანას — უახლოეს წლებში მთლიანად უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ჩაიზე. სახელმწიფოს ჩაბარდა წინანდელზე ბევრად მეტი ყურძენი, თამბაქო, ხილი. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შენდება ათასობით ჰექტარი ახალი ბაღები და ვენახები.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას სულ ცოტა ერთნახევარჯერ-ორჯერ და, უწინარეს ყოვლისა, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობისა და მეხილეობის, აგრეთვე მეცხოველეობის აღმავლობას.

სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მოსახლეობის შემოსავლის ზრდამ გამოიწვია სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მნიშვნელოვანი გადიდება.

ყრილობა ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნისათვის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი მოსწავებს ახალ ეტაპს საბჭოთა სკოლის განვითარებაში, შეესაბამება მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის მაღალ მიზნებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში რესპუბლიკაში მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. სავსებით ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

ამჟამად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 630 ათასზე მეტი მოსწავლე. გარდა ამისა. 30 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, 2.300 — სწავლობს სკოლა-ინტერნატებში. ტექნიკუმებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობს 25 ათასამდე კაცი.

დიდი წარმატებებია მიღწეული უმაღლესი განათლების დარგში. სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგებში შრომობს ათასობით სპეციალისტი — რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემენ უზრუნველყოთ ზოგადი საშუალო, საშუალო სპეციალური, საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი განათლების მნიშვნელოვნად გაფართოება, გავაუმჯობესოთ მოზარდი თაობის შრომითი აღზრდის საქმე. 1965 წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იქნება 747 ათასი მოსწავლე, მნიშვნელოვნად დიდდება მოსწავლეთა რიცხვი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, აგრეთვე დაუსწრებელ საშუალო სკოლებში. 1965 წელს 1958 წელთან შედარებით სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა რაოდენობა 18-ჯერ და მეტად გაიზრდება.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებმა ახალი შრომითი გმირობისაფვის აღაფრთოვანა რესპუბლიკის მშრომელები.

ქართველი ხალხი მხურვალედ და ერთსულოვნად იწონებს კომუნისტური მშენებლობის პროგრამას, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, გამოთქვამს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას შეუპოვრად იბრძოლოს ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

ყოველმხრივ და ღრმად სწავლობენ რა ამ დოკუმენტებს, რესპუბლიკის მშრომელებმა ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად.

მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის ახალი აღმავლობის მკაფიო გამოვლინებაა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა. მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების კომუნისტი და კომკავშირელი მუშების მაგალითისამებრ შექმნილია და წარმატებით მუშაობენ არჩილ ძამაშვილისა და რაჟდენ ჭიჭინაძის კომუნისტური შრომის ბრიგადები რუსთავში, შოთა კუბლაშვილისა ტყიბულში, გურამ ჩადუნელისა თბილისში და ბევრი სხვ.

ყრილობა ავალებს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას, უფრო ფართოდ გაუწიონ პოპულარიზაცია მათს პატრიოტულ თაოსნობას. სათავეში ჩაუდგნენ საყოველთაო სახალხო შეჯიბრებას შვიდწლიანი გეგმის ყველა დავალების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას.

ყრილობა ავალებს რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციას გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა, ამისათვის გამოიყენონ პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა ფორმა და საშუალება, პრესა, რადიო, ტელევიზია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი. მთელი მუშაობა მჭიდროდ დაუკავშირონ ცხოვრებას, კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც მომავალ შვიდწლედში უნდა გადაწყვიტონ სამრეწველო საწარმოებმა და მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, დაწესებულებებმა და სასწავლებლებმა.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია პარტიული ორგანიზაციებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაქციოს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაძლიერებას.

მომავალ შვიდწლედში მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცება, ბრძოლა აქტუალური, კონკრეტული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაჭრისა და წარმოებაში მიღწეული შედეგების დანერგვისათვის.

ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესდეს შემოქმედებითი ორგანიზაციების — მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირების, თეატრისა და კინოს მუშაკების მუშაობა მაღალიდეურ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის, რომლებიც სიმართლით ასახავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრებასა და გმირულ შრომას.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა მრეწველობისა და მშენებლობისადმი, მიაღწიონ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, გამოავლინონ და აამოქმედონ წარმოების გამოუყენებელი რეზერვები.

ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდაში, მხარი დაუჭირონ მათს პატრიოტულ თაოსნობას, რომლის მიზანია ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმა საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში შვიდწლიანი გეგმის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს ყურადღებით შეისწავლონ მშრომელთა ყველა წინადადება, რომლებიც გამოთქმულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში პარტიულ კონფერენციებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, პრესაში, გააკეთონ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებას.

უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებას. საჭიროა განმტკიცდეს საკვები ბაზა, გაუმჯობესდეს მთის საძოვრების გამოყენება, მექანიზებულ იქნას შრომატევადი სამუშაოები ფერმებში, წარმოებაში დაინერგოს რესპუბლიკის მოწინავე მეცხოველეთა გამოცდილება.

წინადადება მიეცეთ პარტიულ ორგანიზაციებს განამტკიცონ მეცხოველეთა კადრები კომუნისტებით და კომკავშირელებით, გამოცდილი სპეციალისტებით, გააძლიერონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ფერმებში, აღმოფხვრან ჩამორჩენა მეცხოველეობაში, მიაღწიონ იმას, რომ საკოლმეურნეო წარმოების ეს დარგი დიდშემოსავლიანი გახდეს.

შეუნელებელი ყურადღება მიაქციონ სუბტროპიკული კულტურების განვითარებას, უზრუნველყონ ყოველთაუნოდ შესრულება მოსავლიანობის ზრდის გეგმებისა, რომლებიც გათვალისწინებულია შვიდწლედით.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა დარაზმონ რესპუბლიკის მშრომელთა ღონისძიებანი საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. მათ დროზე და ორგანიზებულად უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნასთან, გააუმჯობესონ მუშაობა ახალგაზრდა თაობის მოსამზადებლად კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, პარტიის XXI ყრილობას ხვდებიან მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების დადგენილებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტებით.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობა პირობას აძლევს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე დროშის ერთგული, დაუცხრომლად იბრძოლებს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გასამარჯვებლად საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის საგოლოო სიტყვა

ამხანაგო დელეგატებო! საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა დიდი მოვლენაა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში. დელეგატების გამოსვლები მოწმობენ იმას, რომ ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა მის მონაწილეთა მჭიდრო დარაზმულობისა და მაღალი აქტივობის ვითარებაში.

ყრილობამ დაგვანახვა, რომ ყველა დელეგატს, ისევე როგორც ყველა კომუნისტს, ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ღრმად აქვს შეგნებული ის უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიური ამოცანები, რომლებსაც სახავს პარტია დაწყებულ შვიდწლედში.

ყველა გამოსული ამხანაგი — საწარმოების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო დაწესებულებების, სამხედრო ნაწილების პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელები — ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ ისტორიულ ღონისძიებებს, რომლებიც დასახულია პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“.

თეზისების განხილვის დროს შემოტანილ იქნა ბევრი ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი წინადადება, გამოვლინებულ იქნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების, არსებული რესურსების, ძალებისა და სახსრების უფრო რაციონალური გამოყენების ახალი რეზერვები, ახალი შესაძლებლობანი.

გამოსულმა ამხანაგებმა ბევრ რამეში შეავსეს მოხსენება სხვადასხვა წინადადებებით, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს რესპუბლიკის კომუნისტთა ღრმა დაინტერესებას შვიდწლიანი გეგმის დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტით.

ყველა გამოსული ამხანაგი ერთსულოვნად გმობს ხალხისა და ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ადამიანთა ანტიპარტიულ დაჯგუფებას, რომელნიც, იბრძოდნენ რა XX ყრილობის გადაწყვეტილებათა და პარტიის სხვა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ, ცდილობდნენ აეცდინათ ქვეყანა მისი განვითარების ერთადერთი სწორი ლენინური გზისათვის.

ამხანაგებო! ამ ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში. მოყვანილი იყო ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რამდენი ადამიანი ესწრებოდა და გამოდიოდა თეზისების განხილვისადმი მიძღვნილ კრებებზე. სინამდვილეში ეს ციფრები რამდენჯერმე უნდა გავადიდოთ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თეზისებს განიხილავდნენ უკლებლივ თვითეულ ქარხანაში, თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეული საბჭოთა ადამიანის ოჯახში. იმიტომ რომ ეს თეზისები ეხება ყველა საბჭოთა ადამიანის სასიცოცხლო ინტერესებს. შვიდწლედის საკონტროლო ციფრები დაკავშირებულია ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ ზრდასთან და აყვავებასთან, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებასთან, მთელ ჩვენს მომავალთან. ისინი განსახიერებენ მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელ იდეებს. ჩვენი რესპუბლიკის თვითეულ მშრომელს ახარებს საბჭოთა საქართველოს და მთელი ჩვენი ქვეყნის წარმატებები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში. დიდი წარმატებებია, დიდი მიღწევებია. მაგრამ საჭიროა აქვე შევნიშნოთ, რომ ცალკეული გამოსული ამხანაგები მეტისმეტად გაიტაცა მიღწეულმა შედეგებმა, მათ დაავიწყდათ ჩრდილოვანი მხარეები, ჩვენი ნაკლოვანებანი. წარმატებები გვაქვს, მაგრამ ნაკლოვანებებიც გვაქვს. თუ ჩვენი ნაკლოვანებები, ჩვენი შეცდომები დავივიწყეთ, ვერ შევძლებთ სწორად ვადავწყვიტოთ ჩვენს წინაშე მდგომი ახალი დიდი ამოცანები (ხმები: „სწორია!“). არასოდეს არ უნდა დავიმშვიდოთ გული მიღწეულით, არ უნდა გაგვიტაცოს წარმატებებმა და არ უნდა შევუდგეთ თავის ქებას.

ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ ჩვენი მუშებისა, ჩვენი კოლმეურნეებისა, ჩვენი მეცნიერებისა, რომლებიც შრომობენ ქარხნებში, მინდვრებში, ლაბორატორიებში, ქმნიან ყოველივე იმას, რაც ძვირფასია ჩვენი საზოგადოებისათვის. ხელმძღვანელები კი მოვალენი არიან პატიოსნად, კეთილსინდისიერად მუშაობდნენ — ეს მათი ვალია. თავის ქება ძალიან ცუდი სენია და იგი შეიძლება ღრმად შეიჭრას, თუ ძირშივე არ აღვკვეთეთ.

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელმა ჩვენმა ხალხმა მხურვალედ მოიწონა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები. ამ თეზისებში იგი ხედავს ჩვენი პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ამ პოლიტიკას ხალხი მხარს უჭერს სულით და გულით, თავისი კონკრეტული საქმეებით. სწორედ ხალხის წიაღში იშვა ჩვენი დროის შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა — მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის. იგი დღითიდღე ფართოვდება და ვითარდება, მასში ათასობით პატრიოტი ებმება, გაჩაღებულია შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადების ძაღალი წოდების მოპოვებისათვის. ჩვენი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით დავუჭიროთ მხარი ამ სახელოვან, შესანიშნავ თაოსნობას.

ყრილობაზე გამოსულმა, ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის ინიციატორმა, მებრძმედე არჩილ ძამაშვილმა კარგად მოგვითხრო, თუ როგორ აღწევს მისი ბრიგადა, სხვებთან თანასწორ პირობებში, მაღალ მაჩვენებლებს

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის საგოლოო სიტყვა

(დასასრული).

შრომის კულტურის ამაღლების შედეგად და შრომისადმი ახალი, უფრო შეგნებული დამოკიდებულების, სახსრებისა და მასალების უკეთ გამოყენების შედეგად.

ძამაშვილის მსგავსად აქ გამოვიდნენ ჭიათურელი მნგრეველი ტრიფონ ფოფხაძე და სხვა ამხანაგები. მათს შესანიშნავ შრომაში ჩვენ ვხედავთ ლენინის იმ მითითებათა ცოცხალ განსახიერებას, რომ კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების თავდადებული ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თვითეულ ფუთ პურზე, ნახშირზე, რკინაზე საერთო სახალხო საქმის გულისათვის.

ამხანაგო დელეგატებო! ჩვენ ძალიან ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მრეწველობის დარგშიც, სოფლის მეურნეობის დარგშიც, კულტურის დარგშიც. შვიდი წელიწადი ძალიან მოკლე ვადაა. ჩვენ შევდივართ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური შეჯიბრების გადამწყვეტ პერიოდში. კაპიტალიზმთან ამ შეჯიბრებას, ამ ბრძოლას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ამოცანა ის არის, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი გაიმსჭვალოს ამის ღრმა შეგნებით, ამ მშვიდობიანი ბრძოლის წარმატებისათვის თავისი პასუხისმგებლობის შეგნებით. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ კომუნიზმისათვის ამ ბრძოლას აუცილებლად მოვიგებთ ეკონომიური შეჯიბრების დარგშიც. ჩვენი ამოცანა, კომუნისტების ამოცანა ის არის, რომ ამ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ჩავაბათ ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი.

„შვიდწლიანი გეგმის შესრულების წარმატება, —ნათქვამია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, — გადაწყდება უშუალოდ საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო მაღლდება როლი პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც მოწოდებული არიან გაიყოლიონ მასები კონკრეტულ საწარმოო დავალებათა განხორციელებისათვის“.

ამხანაგებო, საქმის წარმატებას ადამიანები წყვეტენ. ჩვენ ათასობით გვყავს შესანიშნავი ადამიანები — წარმოების ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, რომლებიც თავიანთი შრომით გვიჩვენებენ, რა მწვერვალებს შეიძლება მივაღწიოთ, თუ ჩვენს შრომას ჩავაქსოვთ სიყვარულს, ცოდნას, ბეჯითობას, ნებისყოფას და მაღალ საზოგადოებრივ შეგნებას.

ჩვენ გვყვანან შესანიშნავი ადამიანები: ევგენი ივანეს-ძე დანელია — სამგორის რაიონის სოფელ ნორიოს ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომელმაც მაღალ შედეგებს მიაღწია; პოლინა ნიკოლოზის ასული ბოგდანოვა — თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, რომელიც დავალებებს სისტემატურად 190-200 პროცენტით ასრულებს; შოთა სიმონის-ძე დევსურაშვილი — თბილისის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის ზეინკალი, რომელიც დავალებებს 250-280 პროცენტით ასრულებს; არჩილ ვასილის-ძე ძამაშვილი — ამერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის ინიციატორი; ფატი ბილალის ასული წითელაძე, რომლის ბრიგადაში მოსავლელად მიჩენილი 8 ჰექტარი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 6.772 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღეს; .სირანა მიხეილის ასული გუსოევა — ლენინგორის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, რომელმაც მისთვის მოსავლელად მიჩენილი 10 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 2.000 კილოგრამი რძე და 100 პროცენტით შეინარჩუნა მოზარდეული; ტატიანა ექვთიმეს ასული ტყებუჩავა — ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, რომელმაც 0,5 ჰექტარზე 12.650 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ჩვენ გვყავს სოფლის მეურნეობის ისეთი მოწინავეებიც, როგორიც არიან დიანოზ ბიჭიას-ძე ქვათაძე — ონის რაიონიდან, ვარლამ თეოდორეს-ძე მანაგაძე — ლაგოდეხის რაიონიდან, კატუშა ფაჩოს ასული ინკვაბი — გუდაუთის რაიონიდან, კონსტანტინე ნესტორის-ძე გერია — გულრიფშის რაიონიდან, დავით ლევანის-ძე ერქვანია — გაგრის რაიონიდან, ნინო გრიგოლის ასული ბეგიაშვილი — სიღნაღის რაიონიდან, ვახილ ალექსის-ძე ცისკარიშვილი—ყვარლის რაიონიდან, მარიამ სიმონის ასული ბერიაშვილი—გურჯაანის რაიონიდან, ივანე ნაზოს-ძე ხაჩიძე — ხაშურის რაიონიდან, ვლადიმერ გულასპის-ძე დევდარიანი—ორჯონიკიძის რაიონიდან, კახრამან მუსა ოღლი შაბანოვი — მარნეულის რაიონიდან, ნაბი ისმაილ ოღლი ჰუსეინოვი — ბოლნისის რაიონიდან. ჩვენ გვყავს წარმოების ისეთი მოწინავე მუშაკები, როგორიც არიან ვარლამ ნესტორის-ძე კინწურაშვილი — თბილისიდან, ილია ილიას-ძე ლაბაძე — ხაშურიდან, ტრიფონ ვარდენის-ძე ფოფხაძე — ჭიათურიდან, ბაგრატ სერგის-ძე მელქაძე— ზესტაფონიდან და მრავალი სხვა. ისინი აქ, დარბაზში იმყოფებიან. პატივი და დიდება მათ, ამხანაგებო, მათი შრომითი გმირობისათვის! **(მქუხარე ტაში).**

თუ თვითეული ჩვენგანი თავის უბანზე იმუშავებს ისე, როგორც ეს მოწინავე ადამიანები მუშაობენ, დასახულ ამოცანათა შესრულების ჩვენი შესაძლებლობანი ბევრად გაიზრდება.

ამ ადამიანთა გამოცდილება გვინერგავს იმ დიდი პროგრამის რეალობის მტკიცე რწმენას, რომელსაც ჩვენ ვისახავთ. კომუნისტებისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოწინავე ადამიანების გამოცდილება შეისწავლონ, გადაიღონ და დანერგონ თვითეულ ქარხანაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რომ ამ გამოცდილების შესწავლა და განხილვა წარმოებდეს თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში.

ამხანაგო მწერლებო, პოეტებო, მხატვრებო, დრამატურგებო, სცენის, კინემატოგრაფიის ოსტატებო, რა შესანიშნავ თემებს იძლევა მომავალი შვიდწლედი ახალი მოთხრობებისათვის, რომანებისათვის, პიესებისათვის, მხატვრული ტილოებისა და კინოსურათებისათვის! თქვენმა ნიჭმა უნდა ასახოს ემირობა ჩვენი საბჭოთა ადამიანისა, რომელიც კომუნიზმს აშენებს.

იყო შიგ ხალხში, ცხოვრობდე ხალხის ფიქრებითა და მისწრაფებებით. ქმნიდე ხალხისათვის მაღალი მხატვრული და იდეური შინაარსის ნაწარმოებებს — ასეთია კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა კეთილშობილური და საპატიო როლი.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობა გამოთქვამს რწმენას, რომ ეს საკითხები ცენტრალური, მთავარი საკითხები იქნება რესპუბლიკის მწერალთა მომავალ ყრილობაზე და რომ სიტყვის ოსტატები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ ჩვენი ხალხის დიად საქმეებს, მის მიღწევებს და მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა შევუწყოთ ხელი საბჭოთა მეცნიერების განვითარებას, წავახალისოთ მეცნიერთა სამეცნიერო გამოკვლევები ადამიანის ცოდნის ყოველ დარგში. მეცნიერულ აღმოჩენებს, გამოკვლევის შედეგებს რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვნერგავდეთ პრაქტიკაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები ადფრთოვანებს ჩვენს მეცნიერებს ახალი საგმირო საქმეებისათვის, ახალი გაბედული შემართებისათვის, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერების სასახელოდ. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მეცნიერებით და მათი აქტიური დახმარების იმედი გვაქვს. ჩვენ ვამაყობთ იმ ადამიანებით, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი მანქანა-ავტომატები, ელექტრონული გამოთვლითი მანქანები და სხვა სრულყოფილი მექანიზმები, რომლებიც უაღრესად უადვილებენ შრომას საბჭოთა ადამიანს.

ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს საბჭოთა მეცნიერების მონაპოვართ. ტაშს უკრავს საბჭოთა გენიას, რომელმაც სამყაროს სივრცეში მზის თანამგზავრი გაგზავნა.

ჩვენი ვალია აგრეთვე რაც შეიძლება სწრაფად დავამთავროთ ჩვენი საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილების შესაბამისად. მართალია, ამ საქმეში შეიძლება სხვადასხვა სიძნელეს შეეხვდეთ, მაგრამ ისინი შეიძლება გადავლახოთ და კიდეეაც უნდა გადავლახოთ.

ამხანაგებო! ამ თვის დამლევს გაიხსნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXI ყრილობა. დიდი სიხარულითა და ჩვენი სამშობლოსათვის, ჩვენი პარტიისათვის ღრმა სიამაყით ხვდება საბჭოთა ხალხი ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას.

სახელოვნად იშრომეს გასულ წელს ჩვენი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა. მჭიდროდ შეკავშირებული და მონოლითური რიგებით ვეგებებით პარტიის XXI ყრილობას.

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელსაც მრავალჯერ დაუმტკიცებია თავისი უსაზღვრო ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებისადმი და რომელიც მრავალმილიონიანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულ მებრძოლ რაზმს წარმოადგენს, კვლავაც განუხრელად განახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინურ გენერალურ ხაზს. იგი მთელ ძალებს, მთელ ენერგიას მოახმარს იმას, რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი ვალი და შეიტანოს თავისი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

დიდება დიად საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

დიდება პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

ამხ. კ. ნ. გალიცკის სიტყვა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი

ამხანაგო დელეგატებო! თეზისები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა მეურნეობის განვითარების მომავალი შვიდწლედის საკონტროლო ციფრების შესახებ, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მკაფიოდ მოწმობენ პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას საბჭოთა მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხების კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

მიღწევები საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში მკაფიოდ ადასტურებენ სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ბრძნული ლენინური პოლიტიკის გამარჯვებას.

უეჭველია, რომ შრომისმოყვარე და ნიჭიერი ქართველი ხალხი წარმატებით გადაწყვეტს რესპუბლიკის წინაშე 1959-1965 წლებისათვის დასახულ დიად ამოცანებს და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების საერთო საქმეში.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების უდიდესი წარმატებანი გაცოფებას იწვევენ ჩვენი მტრების ბანაკში.

მათი სომარი მზადება მოითხოვს, რომ ჩვენ ვიჩენდეთ დაუღალავ სიფხიზლეს და განუხრელად ვაძლიერებდეთ საბრძოლო მზადყოფნას.

სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მუდამ უნდა იმყოფებოდნენ თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის დონეზე, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი უდიდესი ამოცანების დონეზე.

ჩვენ მოხარული ვართ მოვახსენოთ საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ ოლქის ჯარებმა, რომლებიც დისლოცირებული არიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, გასულ სასწავლო წელს ახალ წარმატებებს მიაღწიეს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ამჟამად ოლქის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად. ნაწილებისა და ქვეგანაყოფების პირადი შემადგენლობა ყველა ღონისძიებას იღებს იმისათვის, რომ პარტიის ისტორიული ყრილობა აღნიშნოს მაღალი მაჩვენებლებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

საბჭოთა არმია ყოველ წელიწადს იღებს სულ უფრო რთულ და სრულყოფილ ტექნიკას, ეს კი უფრო გადიდებულ მოთხოვნებს უყენებს ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და ტექნიკურ მომზადებას, ახალგაზრდობისა, რომლის რიცხვიდანაც ხდება საბჭოთა არმიის რიგების შევსება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ უდიდესი როლი უნდა შეასრულოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ. ამ საზოგადოების ორგანიზაციებმა საქართველოში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს და თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში.

მაგრამ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ზოგიერთი ორგანიზაციის მუშაობა ჯერ კიდევ ჩამორჩება დაკისრებულ ამოცანებს.

ჩვენ ვთხოვთ პარტიულ კომიტეტებს მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საზოგადოების ორგანიზაციებს. რათა მათს საქმიანობაში ჩაებან მოსახლეობის უფრო ფართო ფენები და მიაღწიონ წვევამდელ ახალგაზრდობასთან მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა დაგვისახა, ის არის, რომ ყოველმხრივ განვამტკიცოთ არმიის კავშირი ხალხთან, ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან. ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ბევრი მდივანი ახლა უფრო ხშირად მიდის სამხედრო ნაწილებში, მეტ ინტერესს იჩენს მათი ცხოვრებისა და სწავლებისადმი. გამოდის მეომრების წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით. თავის მხრივ ნაწილების პოლიტორგანოები ახლა უფრო აქტიურად იღებენ მონაწილეობას იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ახორციელებენ.

რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მასშტაბი მიიღო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეფობამ სამხედრო ნაწილებსა და ქვეგანაყოფებზე. გასული წლის მანძილზე საქართველოს თეატრალური კოლექტივების ძალებით სამხედრო ნაწილებში გაიმართა 250-ზე მეტი საშეფო სპექტაკლი და კონცერტი, ხოლო მეცნიერმა მუშაკებმა და კვალიფიციურმა ლექტორებმა ასობით ლექცია და მოხსენება წაიკითხეს.

ოლქის ჯარებმა დიდი დახმარება მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობისაგან ნაწილების ყოფაცხოვრების მოწყობისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში. ამან შესაძლებლობა მოგვცა უკეთ მოგვეწყო ჯარების სწავლება, აღზრდა და მათი საბრძოლო გაწვრთნილობის სრულყოფა.

ამერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთი გრძნობითა და ფიქრით ცოცხლობენ. ოლქის მეომრები უდიდესი ენთუზიაზმით უჭერენ მხარს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, რომელიც პარტიამ დასახა და რომელიც მოცემულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას, რომ ამ-ერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების პირადი შემადგენლობა და პირველ რიგში კომუნისტი მეომრები კიდევ უფრო მტკიცედ და ბეჯითად დაეუფლებიან სამხედრო საქმეს, ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ ახალ წარმატებებს მიაღწიონ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთი საზღვრების დაცვის პასუხსაგები ამოცანების შესრულებაში. **(ტაში).**

ამხ. ბ. ს. ბუკიას სიტყვა

თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად ჩვენს ქვეყანას ახლა აქვს დიდად განვითარებული მანქანათსამშენებლო მრეწველობა, ჰყავს მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კვალიფიციური კადრები.

მრეწველობის სხვადასხვა დარგში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის საშუალებათა კვლევას, დამუშავებასა და დაპროექტებას წარმატებით ეწევიან ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, გორში.

დიდი ამოცანები დგას თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივის წინაშე. იგი მოწოდებულია ქმნიდეს გამოსათვლელ-მათემატიკურ მანქანებს, აგრეთვე საწარმოო პროცესების მმართველ მათემატიკურ მანქანებს.

შვიდი წლის მანძილზე უნდა შეიქმნას და მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში დაინერგოს 100-ზე მეტი ასეთი მანქანა.

ორი წლის მუშაობის მანძილზე ინსტიტუტმა არა მარტო ჩაატარა კვლევა მეტალურგიულ, ენერგეტიკულ, მანქანათსამშენებლო, ქიმიურ, ნავთობგადამმუშავებელ და ჩაის მრეწველობაში მათემატიკური ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, არამედ ამ კვლევის ბაზაზე უკვე შეიმუშავა და შექმნა მთელი რიგი მათემატიკური მანქანები.

ზოგიერთი მათგანი წელს დაინერგება მრეწველობაში.

ინსტიტუტი იკვლევს და ამუშავებს ბრძმედების კომპლექსური ავტომატიზაციის თემას. უკვე დამზადებულია საცდელი ნიმუშები მანქანებისა, რომლებიც განკუთვნილია საბრძმედე პროცესების ავტომატიზაციისათვის. ორი მათგანი წელს დაინერგება ამერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში.

საქენერგოს კოლექტივთან, საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიზაციის კათედრასთან ერთად წარმოებს გამოკვლევა და მუშავდება ენერგოსისტემების მართვის კომპლექსური ავტომატიზაციისათვის გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენების პრობლემა. ინსტიტუტში უკვე შემუშავებული და დამზადებულია მათემატიკური მანქანა ენერგოსისტემის ზოგიერთი დისპეტჩერული აანგარიშებისათვის.

მანქანათსამშენებლო ქარხნებისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხია მათი სამსხმელო საამქროების ნორმალური მუშაობა.

ამ მიზნით უკვე შექმნილია და წელს დაინერგება წარმოებაში მათემატიკური მანქანები კაზმისა და ბოვის თბორეჟიმის გაანგარიშებისათვის. ამ მანქანებმა წარმატებით გაიარეს ლაბორატორიული გამოცდა.

ამავე დროს, ჩაისა და ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობაში საანგარიშო-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობათა გამოსაკვლევლად გაწეულ საძიებო სამუშაოთა შედეგად, ინსტიტუტში შეუდგნენ მრეწველობის ამ დარგებისათვის მმართველი მათემატიკური მანქანების შემუშავებასა და შექმნას.

ავტომატიზაციის ახალ საშუალებათა ტექნიკური დავალების შედგენისა და ტექნოლოგიური საფუძვლის დამუშავებისას ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს წარმოებასთან, სადაც შემდეგში დაინერგება მის მიერ დამუშავებული მანქანები.

ჩვენი ინსტიტუტის ახალგაზრდა კოლექტივის სახელით პირობას ვაძლევ საქართველოს კომპარტიის ყრილობას, რომ ჩვენ ყველა ღონისძიებას მივიღებთ იმისათვის, რომ შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები. **(ტაში).**

ამხ. მ. ყ. ყულიევის სიტყვა

საქართველოს კპ დმანისის რაიკომის პირველი მდივანი

ამხანაგებო! ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას ეგებებიან უდიდესი წარმატებებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის ხელმძღვანელობით საკმაოდ დიდი წარმატებები მოიპოვეს უკანასკნელ ხუთ წელიწადში დმანისის რაიონის მშრომელებმაც.

წარმატებები მიღწეულია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში, რომელიც რაიონის მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს. წველადობამ საშუალოდ ერთ საფუძველზე ძროხაზე 1958 წელს შეადგინა 1.669 კილოგრამი — 166 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1957 წელს, და 700 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1953 წელს. 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე გასულ წელს წარმოებულია 35 ცენტნერი ხორცი, 120 ცენტნერი რძე, ე. ი. თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს.

რაიონში გაწეულია დიდი მუშაობა ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გასაუმჯობესებლადაც. 1958 წელს სათიბებსა და სახნავებში გატანილ იქნა 55 ათასი ტონა ორგანული სასუქები. ამჟამად კოლმეურნეობების პირუტყვის მთელი საზოგადოებრივი სულადობა კეთილმოწყობილ საგრძმებშია.

რაიონის პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა გამგეობების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო ხორცის წარმოების გადიდების უზრუნველყოფა. ამ მიზნით კოლმეურნეობებში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მეფერეობის ახალი ფერმები შეიქმნა. ამის შედეგად ჩვენს ორმოცდაორსავე კოლმეურნეობაში ამჟამად არის მეფერეობის ფერმა. ღორის საერთო სულადობა 1954 წლის 800 სულიდან გადიდდა 1.722 სულამდე 1959 წლის 1 იანვრისათვის.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში რაიონს ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი.

გასულ წელს კოლმეურნეობებმა ღორის სულადობის გეგმის შესრულებას დააკლეს 120 სული. არ შესრულებულა წველადობის ნაკისრი ვალდებულებებიც.

ამხანაგებო! მიმდინარე შვიდწლედში რაიონის კოლმეურნეობებისა და პარტიული ორგანიზაციების წინაშე დიდი ამოცანები დგას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის და, უწინარეს ყოვლისა, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. ამ მიმართულებით ძირითადი ღონისძიება იქნება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სულადობის გადიდება. 1959 წლისათვის ნავარაუდევია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში აყვანილ იქნას 14.800 სულამდე, აქედან ძროხისა 4.500 სულამდე, ანუ საერთო ჯოგის 33 პროცენტამდე; ღორის სულადობა—2.000 სულამდე, აქედან დედა ღორისა — 500-მდე, ხოლო 1965 წლის დამლევისათვის ჩვენს კოლმეურნეობებს უნდა ჰყავდეთ 18.000-მდე სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან ძროხა სულ მცირე 8.000, სუქებიდან უნდა მოხსნან სულ მცირე 4.000 ღორი.

ნება მიბოძეთ დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელით პირობა მივცე საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ 1959 წელს — შვიდწლედის პირველ წელს — რაიონის კოლმეურნეობები საშუალო წველადობას ერთ საფუძველზე რაჟე ძროხაზე აიყვანენ 2.000 კილოგრამამდე, ხოლო რძის საერთო წარმოებას — 9.000 ტონამდე, ანუ არანაკლებ 165 ცენტნერი რძისა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე.

დმანისის რაიონის მშრომელები, ისევე როგორც მთელი ქართველი ხალხი, მთელ ძალებს მოახმარენ იმას, რომ წარმატებით განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც ჩვენმა მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დაგვისახა. **(ტაში).**

ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს კომკავშირი თავის რიგებში სამას ორმოც ათასამდე კომკავშირელს აერთიანებს. დღეს, როდესაც საქართველოს კომპარტია თავის რიგგარეშე XIX ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის აყვავებისა და აღორძინების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შვიდი წლის პროგრამას განიხილავს, თვითეული მთგანის მხურვალე სურვილია საზეიმო აღთქმა მისცეს დიად კომუნისტურ პარტიას, რომ მზად არიან ძალა და ენერგია არ დაიშურონ პარტიის დიდი ახრებისა და გეგმების განსახორციელებლად.

ეს ლიტონი სიტყვები როდია. ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვენდოთ მათს ძალასა და უნარს. ამის საწინდარია ის წარმატებები, რომლებითაც ისინი საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობაზე მრეწველობენ. მათ ხომ გასული წლის საწარმოო დავალება თვენახევრით ადრე შეასრულეს, 220 მილიონი მანეთი შეიტანეს „კომკავშირულ ყულაბაში“ ლენინური კომკავშირის ორმოცი წლისთავისა და საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად; ოცდარვა ათასი ახალგაზრდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ წავიდა კომკავშირული საგზურებით, მათ შორის 19 ათასამდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულია.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობამ გასულ წელს 95 ათას ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა და თუ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმზე შეაქებს საქართველოს მშრომელები ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღებისათვის, ამ დიდ შრომაში ჩვენს ახალგაზრდობას სერიოზული წვლილი აქვს შეტანილი. საქართველოს კომკავშირმა პირველად მოკიდა ხელი მთელი სერიოზულობით მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეს, და შედეგები არც თუ ცუდია.

დღეს ჩვენი რესპუბლიკა, მისი ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი ამოცანების წინაშე დგანან. მომავალი შვიდწლედი, კომუნისტური საზოგადოების გამლილი მშენებლობის პროგრამა, ერთმანეთის ქება-დიდებით როდი შესრულდება. დღეს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვჭირდება მუშაობის ჩრდილოვანი მხარეების გამოვლინება, მზის სინათლეზე გამოტანა და გამოსწორება.

მინდა შევეხო ჩვენი ზოგიერთი საწარმოსა და მშენებლობის მომარაგების დარგში არსებულ ნაკლოვანებებს, ავიღოთ თბილისის გაზსადენის მშენებლობა. რომელსაც კომკავშირი შეფობს და არც თუ ცუდად. ვისი დადგენილება არ არსებობს „თბილგაზმშენისთვის“ საჭირო მანქანა-იარაღების, მოწყობილობისა და მასალების გადაცემის თაობაზე, მაგრამ საქმე წინ არ იძვრის.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვის პროცესში ახალგაზრდობის წიაღში დაიბადა ახალი შესანიშნავი თაოსნობა — კომუნისტური შრომის

(დასასრული მე-3 გვერდზე).

იბეჭდება შემოკლებით.

ერთიანეულნი ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

(დასასრული)

ბრიგადების შექმნა. ეს არის თვისებრივად ახალი მოძრაობა, რომელიც აყალიბებს კომუნიზმის ეპოქის ადამიანთა ძირითად დამახასიათებელ თვისებებს — ეს მოძრაობა დაკავშირებულია ახალგაზრდობის მუშაობის მთელ პროცესთან, იგი ყოველდღიურად ფართოვდება და მასობრივ ხასიათს იღებს.

როგორც ცნობილია, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გენერალური ხაზი შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში მდგომარეობს, ეს უკანასკნელი კი განპირობებულია ტექნიკური პროგრესით, მატერიალური დოვლათის შემქმნელთა ტექნიკურ-კულტურულ დონით, მათი კომუნისტური შეგნებულობითა და შრომის სწორი ორგანიზაციით.

სამწუხაროდ, ჩვენ ხშირად ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებს ვუდგებით 10-15 წლის წინანდელი პოზიციებიდან, არ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ახლა ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოვიდა ახალი ცვლა, ზოგადი განათლებისა და ტექნიკური ცოდნის უფრო გაზრდილი დონით და ჩვენი ვალია გავითვალისწინოთ ეს თავისებურება.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანები ხელმძღვანელი ორგანოებისაგან მოითხოვენ ყოველდღიურ კვალიფიციურ დახმარებასა და ზრუნვას. უნდა ითქვას, რომ ყველა ხელმძღვანელი ორგანო როდია ამ მოწოდების სიმაღლეზე.

სერიოზული გაუმჯობესება ესაჭიროება ახალგაზრდობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ფიზიკური აღზრდის საქმეს.

ამხანაგებო! ახალგაზრდობის ძალა, მისი სიცოცხლის, შრომის, სწავლის, სიხარულისა და ბედნიერების წყარო პარტიული ხელმძღვანელობაა. ჩვენ უძლეველი ვართ იმით, რომ პარტიის დროშა, მისი აზრები და იდეები გვინათებენ კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას. ჩვენ ხელთა გვაქვს კომუნისტური პარტიის ბრძოლისა და შრომის, სამშობლოსადმი თავდადების დიდებული ტრადიციები, გვწამს საკუთარი ბრწყინვალე მომავალი, და სასიხარულოა, რომ მოდის, იზრდება ღირსეული ცვლა, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მაღლა აიტაცებს მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველ დროშას და თავდადებით იმუშავებს კაცობრიობის ნათელი მომავლის, კომუნიზმის დიადი შენობის ასაგებად. (ტაში).

ამხ. გ. ი. ქადაგიძის სიტყვა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგო დელეგატებო! ჩვენი ყრილობა მიმდინარეობს უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელიც გამოწვეულია სახელოვანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის მზადებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებით.

საქართველოს სსრ რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში მიდის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების გზით. სკკპ XX ყრილობის შემდეგ გასული დროის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია. 1958 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1955 წელთან შედარებით 30,4 პროცენტით გადიდდა. ამასთან წარმოების საშუალებათა წარმოება 32,9 პროცენტით გაიზარდა.

კიდევ უფრო მძლავრ აღმავლობას მიაღწევს საქართველოს სახალხო მეურნეობა მიმდინარე შვიდწლედში. 1959-1965 წლების პერსპექტიული გეგმის პროექტით გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობაში არსებული დისპროპორციის ლიკვიდაცია. ყველაზე სწრაფად განვითარდება მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, განსაკუთრებით ხელოვნური ბოჭკოს და პლასტიკური მასების წარმოება, შავი მეტალურგია. მიღებულ იქნება ღონისძიებანი ენერგეტიკული ბაზის განმტკიცებისათვის, არსებული ქარხნების რეკონსტრუქციისათვის მოდერნიზაციისა და ძველი მოწყობილობის ახლით შეცვლის გზით, განხორციელდება კომპლექსური მექანიზაცია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, უზრუნველყოფილ იქნება შრომის ნაყოფიერების შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის და უკვე მოქმედ საწარმოთა გაფართოების შედეგად რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1965 წელს გაიზრდება 75 პროცენტით 1958 წელთან შედარებით.

ამ დიდ ამოცანებს თავი რომ გავართვათ, საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ რესპუბლიკის ბევრი საწარმოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, მთლიანად მოვახდინოთ წარმოების გამოუყენებელი რეზერვების მობილიზაცია.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, მან თავი ვერ გაართვა 1958 წლის გეგმის შესრულებას. ქარხანაში უხეშად არღვევენ მექანიზმების ექსპლოატაციის წესებს, არ იცავენ საგგმო-მაფრთხილებელი რემონტის გრაფიკს, რის შედეგადაც იშვიათი როდია ავარიების და აგრეგატების მოცდენის შემთხვევები. 1958 წელს ქარხანაში რეგისტრირებულ იქნა ტექნოლოგიის დარღვევის საკმაოდ ბევრი შემთხვევა. მარტო მარტენის საამქროში გასულ წელს გამოუშვეს 66 ცივი ნადნობი, რის შედეგადაც დიდი რაოდენობით დაიკარგა ლითონი.

ქარხნის ხელმძღვანელებმა, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. კეკელიძემ უნდა გაითვალისწინონ სამართლიანი კრიტიკა მათი მისამართით ყრილობაზე, განახორციელონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების აუცილებელ ზრდას, რაც დასახულია 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით.

1958 წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა საქართველოს ქვანახშირის კომბინატიც. სულ რესპუბლიკაში გასულ წელს არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა საწარმოთა 12-მდე პროცენტი. მათ სახელმწიფოს დააკლეს 127 მილიონი მანეთის პროდუქცია.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი ყოველმხრივი ეკონომიური და კულტურული ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ 1959-1965 წლებისათვის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა იქნება დაახლოებით 17 მილიარდი მანეთი, რაც თითქმის 6 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში, ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულებისათვის ბეჯითად მუშაობა დასჭირდებათ ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციებს, აგრეთვე სამინისტროებსა და უწყებებს.

ვფიქრობ, რომ არ უნდა მოვითხოვოთ დიდი დამატებითი ასიგნობანი საკავშირო მთავრობისაგან, იმიტომ რომ ამ თანხების ათვისება ადვილი როდი იქნება. მაგრამ საჭირო იქნება მოვახდინოთ ერთგვარი ცვლილებები გეგმის სტრუქტურაში. აგრეთვე თანხების განაწილებაში შვიდწლედის წლების მიხედვით.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების პროექტის ვიწრო ადგილია არასაკმაო კაპიტალდაბანდებანი სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებაში. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული კაპიტალდაბანდებანი 17 მილიარდი მანეთის ოდენობით დიდი რაოდენობით მოითხოვენ ინდუსტრიულ ნაკეთობათა და საშენ მასალათა წარმოებას. მაგრამ სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობისათვის პროექტით გათვალისწინებულ ასიგნობებში შეუფარდებლობაა საშენ მასალათა მოთხოვნილებასა და წარმოებას შორის.

შვიდწლედში სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის გადაუდებელ საჭიროებათა უზრუნველყოფისათვის საჭიროა დამატებით ასიგნებულ იქნას 130 მილიონამდე მანეთი ანუ კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობის 1 პროცენტი.

არ შემიძლია არ ვუსაყვედურო საშენ მასალათა მრეწველობას, რომ ჩვენ საქართველოში არ ვაწარმოებთ ეფექტურ, მსუბუქ, იაფ საშენ მასალებს. სახალხო მეურნეობის საბჭოს ვერ მოუგვარებია ფიბროლიტის წარმოებაც კი, რომელიც განსაკუთრებულ მოწყობილობას და დიდ ფართობებს არ მოითხოვს.

ამხანაგო დელეგატებო! შვიდწლედის გრანდიოზული ამოცანები ჩვენგან მოითხოვენ მთელი იმ დაუშრეტელი შესაძლებლობებისა და რეზერვების სრულ მობილიზაციას, რომლებსაც ჩვენი სოციალისტური წარმოება შეიცავს.

შვიდწლედის პირველივე დღიდან, პირველივე წლიდან მთელი მუშაობა უნდა დავუქვემდებაროთ იმას, რომ სახელმწიფო გეგმებს ასრულებდეს ყველა საწარმო და მშენებლობა.

ეჭვი არ არის, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის მშრომელები, სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, მოახდენენ მთელი თავიანთი ძალების მობილიზაციას იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის, რომლებიც შვიდწლიანი გეგმიდან გამომდინარეობენ, და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეში. (ტაში).

ამხ. გ. ა. ბოგვერაძის სიტყვა

თბილისის საელმავლო დეპოს უფროსი მემანქანე, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა პარტიის XXI ყრილობაზე საბჭოთა ადამიანების უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აქტივობა გამოიწვია. ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საელმავლო დეპოს მემანქანეებმა იკისრეს გაზრდილი საწარმოო ვალდებულებები და თავდადებით შრომობენ მათ განსაღდებლად.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად მემანქანე მიდოდაშვილმა ხაშურიდან თბილისში ჩამოიყვანა მძიმეწონის მატარებელი, რომელიც ნორმას 4.000 ტონით აღემატებოდა. საელმავლო დეპოში მოწინავე მემანქანეების ინიციატივით შეიქმნა პარტიის XXI ყრილობის სახელობის მძიმეწონის მატარებლების წამყვანი ელმავლების კოლონა, რომელმაც ვალდებულება იკისრა ყრილობის გახსნის დღისათვის გადაეყვანა მძიმეწონის მატარებლები და გეგმის გადამეტებით გადაეზიდა 350 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გახსნის დღისათვის კოლონის წევრებმა უკვე გადაიყვანეს 1.572 მძიმეწონის მატარებელი და გეგმის ზევით გადაზიდეს 420 ათასი ტონა ტვირთი, რითაც სახელმწიფოს მისცეს ასეულათასობით მანეთის ეკონომია.

პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შჯიბრების დღეებში ჩვენთან შეიქმნა კომუნისტური შრომის ბრიგადები. ერთ-ერთ ასეთ ბრიგადას მე ვხელმძღვანელობ.

ამხანაგებო! როგორც ყრილობის დელეგატებისათვის არის ცნობილი, ამიერკავკასიის რკინიგზამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა 1958 წლის გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით და მტკიცედ ინარჩუნებს გასული წლის მესამე კვარტალში მოპოვებულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

რკინიგზელთა საპატიო ამოცანაა ყოველი ღონისძიებით დაჩქარონ ვაგონების ბრუნვა და შესაბამისად შეამცირონ მათი მოცდენა.

სამანევრო სამუშაოების დაჩქარებისათვის აუცილებელია სამანევრო ორთქლმავლების შეცვლა თბომავლებით, პირველ რიგში მთავარ სამანევრო კვანძებზე.

მიზანშეწონილი იქნება საორთქლმავლო დეპოს გადატანა სადგურ თბილისიდან სადგურ ნავთლუღში, რაც ხელს შეუწყობს თბილისის სახალხო სადგურის გაფართოებას და ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას.

რკინიგზის თბილისის კვანძის საწარმოთა კოლექტივები პირობას აძლევენ საქართველოს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობას, რომ ისინი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 7-წლიანი გეგმა შეასრულონ ვადამდე, გადაჭარბებით და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში. (ტაში).

ამხ. ნ. ი. მუსხელიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ამხანაგო დელეგატებო! თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი პერიოდის — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის გრანდიოზულ ამოცანებს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში დასახულია აუცილებელი პირობების შექმნა მეცნიერების ყველა დარგის შემდგომი, კიდევ უფრო ინტენსიური განვითარებისათვის, დიდმნიშვნელოვან თეორიულ გამოკვლევათა, ახალ დიდ მეცნიერულ აღმოჩენათა და ტექნიკურ გამოგონებათა განხორციელებისათვის.

მომდინარე შვიდწლედში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულება განისაზღვრება უმთავრესად საბჭოთა მეცნიერების განვითარების იმ შვიდწლიანი გეგმის ამოცანებით, რომელიც შემუშავებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების მონაწილეობით. მაგრამ საქართველოს მეცნიერები იმ მიმართულებითაც იმუშავებენ, რომელიც განსაზღვრულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის თავისებურებებითა და სპეციფიკური საჭიროებებით.

შვიდწლედის განმავლობაში ჩვენი აკადემია მნიშვნელოვნად გაფართოვდება. დაარსდება მთელი რიგი ახალი ინსტიტუტები, ხოლო არსებული ინსტიტუტები გაძლიერდება. ფართო მასშტაბებით გაჩაღდება კაპიტალური მშენებლობა, რომელზეც შვიდწლედის განმავლობაში დაბანდებული იქნება 185 მილიონი მანეთი, მაშინ როცა წინა შვიდწლედში, 1952-დან 1958 წლამდე, კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდება 47 მილიონ მანეთს შეადგენდა. შესაბამისად გადიდდება დაბანდებანი სამეცნიერო მოწყობილობის გაფართოებაზე.

რადგან შესაძლებლობა არა მაქვს თუნდაც ფრიად მოკლედ მოგითხროთ ჩვენი აკადემიის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, შევეხები პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მხოლოდ ზოგიერთ სამეცნიერო პრობლემას, დიდ თეორიულ და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას ანიჭებენ რა ახალ სახეობათა ფოლადის შექმნას, ჩვენი მეცნიერი-მეტალურგები შეუდგნენ მცირენახშირბადოვანი ქრომომანგანუმიანი და ქრომომანგანუმიან-ბორიანი ფოლადების თვისებათა გამოკვლევას.

ფეროშენადნობთა ელექტროდნობის სამრეწველო დახურული ღუმელები, რომელთა ექსპლოატაციას საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში ეწევიან, მაღალ ეფექტიანობას გვიჩვენებენ. გასულ წელს ჩვენი სპეციალისტები ეწეოდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ორიგინალური დახურული ელექტროღუმელების კვლევის, კონსტრუირებისა და დანერგვის სამუშაოებს მარგანეცის საფუძველზე ფეროშენადნობთა წარმოებისათვის. ამ კვლევის უკვე შესრულებული ნაწილისა და საცდელ-სამრეწველო სამუშაოთა მონაცემების მიხედვით მუშავდება ღონისძიებანი იმისათვის, რომ ფეროშენადნობთა მთელი სამამულო მრეწველობა გადაყვანილ იქნას დახურულ ელექტროღუმელებზე.

დიდი წარმატებებია მოპოვებული გადასამუშავებელი თუჯისა და საბრძმედე ფეროშარგანეცის წარმოებაში მარგანეცისა და რკინის ღარიბი მადნების გამოყენების საკითხების დამუშავების შედეგად.

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში ფოლადდნობის წარმოებაში დეფიციტურ შემოტანილ კრიოროიეს მადანს იყენებდნენ. მეტალურგიის ინსტიტუტმა შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მარტენული წარმოებისათვის გამოსადეგი აგლომერატის მიღების მეთოდი. ეს ათავისუფლებს ქარხანას კრიოროიეს მადნის შემოტანისაგან და უზრუნველყოფს მარტენის საამქროს შეუფერხებელ მომარაგებას ამ ნედლეულით.

ინტენსიურ მუშაობას ეწევა ქიმიის ინსტიტუტი ბუნებრივი სიმდიდრეებისა და ბევრი პრაქტიკულად დიდმნიშვნელოვანი ქიმიური პროცესის ყოველმხრივი შესწავლისათვის. მთელი რიგი შედეგები დანერგილია კარგი ეკონომიური ეფექტით ან დანერგვის პროცესშია.

ტყიბულის ქვანახშირის საფუძველზე შემუშავებულია ახალი მეთოდი იაფი და მაღალხარისხოვანი პლასტმასის მიღებისა, რომელიც ჩვეულებრივ ფენოპლასტებზე დაახლოებით ხუთჯერ უფრო იაფი იქნება.

შემიძლია მოვიყვანო პრაქტიკასთან ჩვენი მეცნიერული კვლევის კავშირის განხორციელების ბევრი მაგალითი. მაგრამ მეცნიერთა კავშირი წარმოებასთან კიდევ უფრო მჭიდრო ხასიათს უნდა ატარებდეს. ჩვენ საკმაოდ ვერ ვიბრძვით მეცნიერული კვლევის მიღებული შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ეს ნაკლი.

ჩვენს მუშაობაში, რა თქმა უნდა, ბევრია სხვა ნაკლიც, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ და ვცდილობთ აღმოვფხვრათ. შემიძლია პირობა მივცე ჩვენს ყრილობას, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიჭიერი და ძლიერი კოლექტივი, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივებით აღფრთოვანებული, ყოველივე შესაძლებელს გააკეთებს იმისათვის, რომ გაამართლოს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ნდობა და ყოველდღიური ზრუნვა საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის. (ტაში).

ამხ. ა. ა. ბერულავას სიტყვა

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის ხელმძღვანელი

ზუგდიდის რაიონის მშრომელები მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხებთან ერთად პატრიოტული აღფრთოვანებით ემზადებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად. მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით შეეგებნენ ისინი საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას.

ჩვენმა რაიონმა 1958 სამეურნეო წელი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. რაიონის კოლმეურნეობათა შემოსავალი 1957 წელთან შედარებით 36 მილიონი მანეთით გადიდდა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. გასულ სამეურნეო წელს მიღებულია სიმინდის მაღალი მოსავალი. 5.000 ჰექტარი სიმინდის ფართობი ძირითადად მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან შესყიდული სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით იქნა დამუშავებული, რამაც დიდად ამაღლა შრომის ნაყოფიერება. 1956 წელთან შედარებით შარშან რაიონში საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა სამი ცენტნერით მეტი სიმინდი.

რაიონის ეკონომიკაში დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩაის კულტურას. 1958 წელს მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა ჩაის მოსავლიანობის გასაღიდებლად. მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 16.823 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 4.830 ტონით მეტი, ვიდრე 1957 წელს, და სახელმწიფო დავალება შევასრულეთ 108,4 პროცენტით. ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გაიზარდა 750 კილოგრამით და შეადგინა 3.100 კილოგრამი.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში თვალსაჩინო წარმატებები აქვთ სოფლების ინგირის, ახალსოფლის, რუხის, რიყის, ჭაქვინჯის, ოქტომბრის და სხვა კოლმეურნეობებს. რუხელმა მეჩაიეებმა, სადაც თავმჯდომარეა ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა, სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 260 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი და ჩაის მოსავლიანობა ჰექტარზე 5.300 კილოგრამამდე გაზარდეს.

რაიონის საერთო წარმატებაში თავისი წვლილი შეაქვს ჩაის საბჭოთა მეურნეობის იმ კოლექტივს, სადაც მე ვმუშაობ. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური დავალება, მრეწველობას ჩაბარდა 2.209 ტონა ნედლეული. 1956 წელთან შედარებით ჩაის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე გადიდებულია 743 კილოგრამით.

რამდენიმე წლის წინათ ჩვენს მეურნეობაში მოეწყო საცდელი ხელოვნური საწვიმებელი, რომელიც 20-25 ჰექტარ ფართობს რწყავდა. აღნიშნულ ნაკვეთზე მოსავლიანობამ 6.000-7.000 კილოგრამს მიაღწია. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ მეურნეობის კოლექტივს უდიდესი რეზერვი აქვს მოსავლიანობის გასაღიდებლად, 1958 წელს შედგენილ იქნა მეურნეობის 500 ჰექტარი ჩაის პლანტაციის მორწყვის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით 1959 წელს მოირწყვება 100 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ხოლო მომდევნო წლების ბოლოსათვის რწყვა მთელ ფართობზე განხორციელდება.

ამხანაგებო! კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც ამჟამად მე ვხელმძღვანელობ, 1952 წელს შეიქმნა. ჩვენს ბრიგადაში წლითიწლობით იზრდება ჩაის ფოთლის მოსავლიანობა. თუ 1952 წელს საშუალოდ ჰექტარზე მიგიღეთ 4.600 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1958 წელს ეს ციფრი 7.212 კილოგრამამდე გაიზარდა. ასეთ წარმატებას ჩვენ მივაღწიეთ აგროწესების სრული დაცვით და შრომის სწორი ორგანიზაციით. (ტაში).

ამხ. მ. მ. ლელაშვილის სიტყვა

საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი

ამხანაგო დელეგატებო! თავისი სამშობლოსათვის უდიდესი სიამაყის გრძნობით განიხილავენ საქართველოს მშრომელები პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს 1958 სამეურნეო წლის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას ეგებებიან ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებათა მიღწევაში მცირე როლი როდი ასრულებენ რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები. ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებას სსრ კავშირის პროფკავშირების მუშაობის შესახებ, საქართველოს პროფკავშირებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა, მათ უფრო აქტიურად იწყეს ჩაწვდომა წარმოებაში, ახლა უკეთ ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შჯიბრებას, უფრო ოპერატიულად წყვეტენ მუშებისა და მოსამსახურეების შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის დღეებში თბილისში, რუსთავში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში მოსკოველთა პატრიოტული თაოსნობით განვითარდა შესანიშნავი მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნა, რომელთა შემადგენლობაში შედიან წარმოების საუკეთესოთაგან საუკეთესო მუშაკები.

პროფკავშირების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ რესპუბლიკაში წარმოებს დიდი მუშაობა საწარმოო თათბირების მუშაობის გარდაქმნისათვის, რომლებიც წარმოადგენენ წარმოების მართვაში მუშების მონაწილეობის საუკეთესო ფორმას, მოწინავე გამოცდილების ტრიბუნას, წარმოების რეზერვების გამონახვისა და სრული გამოყენების დიდმნიშვნელოვან საშუალებას.

რესპუბლიკის საწარმოებში შექმნილია მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, რომელთა მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოწინავე მუშები, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

უკვე შექმნილია 700 მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი. შედარებით მოკლე პერიოდში მათ განიხილეს 7.700-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან 5.800-ზე მეტი დანერგილია წარმოებაში.

1957-1958 წლებში საქართველოში შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილია დაახლოებით 40 ათასი კაცი, რომლებიც მუშაობენ შავი მეტალურგიის, ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში, კასპისა და რუსთავის ცემენტის ქარხნებში. აგრეთვე სამთო-ქიმიური ნედლეულის მომპოვებელ საწარმოებში. ამავე დროს მოწესრიგდა ხელფასი.

შვიდწლიანი გეგმის შესაბამისად მიმდინარე წელს ჩვენს რესპუბლიკაში შემოკლებულ სამუშაო დღეზე და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანილ იქნება ნავთობის, მანქანათსამშენებლო, ელექტროტექნიკური მრეწველობისა და ხელსაწყოთმშენებლობის 45 საწარმო, ხოლო 1960 წელს მთლიანად განხორციელდება რესპუბლიკის საწარმოთა და დაწესებულებათა ყველა მუშაკის გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე.

უახლოეს 10-12 წელიწადში ბინების მხრივ მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში აშენდა 2 მილიონამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მარტო 1957-1958 წლებში მუშებმა და მოსამსახურეებმა მიიღეს ახალი ბინები, რომელთა საერთო ფართობია დაახლოებით 400 ათასი კვადრატული მეტრი.

მიუხედავად ამისა, საბინაო მშენებლობის დარგში ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე და ნაკლი გვაქვს.

შვიდწლიანი გეგმით ჩვენს რესპუბლიკაში გათვალისწინებულია 3 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალდაბანდებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ 4 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობის გადაცემას საექსპლოატაციოდ. უკვე 1959 წელს უნდა აშენდეს 800 ათასი კვადრატული მეტრი, აქედან ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ხარჯზე, რომელიც სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ხორციელდება, — 400 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საჭიროა გადიდდეს ადგილობრივი საშენი მასალების — აგურის, ბეტონისა და სილიკატის დიდი ბლოკების წარმოება, მოწესრიგდეს დროული დაპროექტების, სამშენებლო მოედნებზე მაღალი მექანიზაციის გაშლილი გამოყენების საკითხები, აგრეთვე მოეწყოს ინდივიდუალურ მენაშენეთა გეგმაზომიერი უზრუნველყოფა იაფი ტიპური პროექტებით, საშენი მასალებით, მიწის ნაკვეთებით.

გასულ წელს შესანიშნავად იმუშავეს თბილისის მშენებლებმა, რომლებმაც დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საბინაო მშენებლობის გეგმა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშენებლები წელს კიდევ უფრო კარგად იმუშავებენ.

ამხანაგო დელეგატებო! ამუშავებს რა კომუნისტური მშენებლობის დიად გეგმებს, ჩვენი პარტია მუდამ მიმართავს ხალხის ინიციატივისა და შემოქმედებითი შრომის დაუშრეტელ წყაროს.

კომუნისტური პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული პერსპექტივები კოლოსალურ ენერგიას წარმოშობენ მშრომელთა მასებში.

საბჭოთა პროფკავშირები, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის, კომუნისტური პარტიის იდეების ერთგულნი, მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ ეს ენერგია წარმართონ ჩვენს ქვეყანაში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიადი გეგმის განსახორციელებლად.

რესპუბლიკის პროფკავშირთა წევრების 750-ათასიანი არმიის სახელით პირობას ვაძლევ საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირები კიდევ უფრო აამაღლებენ თავიანთი მუშაობის დონეს და ღირსეულად განახორციელებენ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დგას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიადი ამოცანების შესასრულებლად მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციის დარგში (ტაში).

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

კამათი ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენების გამო

ამხ. გ. ი. ჩოგოვაძის სიტყვა

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე

ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა დიდი წარმატებებით შეხვდა საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას. ამ წარმატებებს საფუძვლად უდევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებათა განუხრელად განხორციელება.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს არსებობის განმავლობაში განხორციელდა მთელი რიგი ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის სამაგისტრალო რკინიგზიანი ელმავლების, რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სამთო მიწოდმოქმედებისათვის საკიდი მოწყობილობის, კოშკურა ამწეების, გაუმჯობესებული ლითონსაჭრელი ჩარხების, ბორტის კატერების წარმოების ორგანიზაცია.

სახალხო მეურნეობის საბჭოს შექმნით მნიშვნელოვნად მოწესრიგდა სარესპუბლიკათშორისო კოოპერირებული მიწოდებანი.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა მუშაობა საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და საწარმოებში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. პირობითი წლიური ეკონომია, რაც მიღწეულია საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიისა და ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად, მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით 400 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენს.

უკანასკნელ წელიწადნახევარში რესპუბლიკაში შექმნილია სავსებით ახალი დარგი — ხელსაწყოთსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობა, რომელიც უკვე 1959 წელს გამოუშვებს სამადნე ელექტრომავლებს, ქანსატვირთავ მანქანებს, ელექტროკარებს, ელექტროშესადუღებელ მოწყობილობას, ელექტრობურღებს, ელექტროვიბრაციულ მანქანებს, სხვადასხვა სიმძლავრის საამწეო ელექტროძრავებს. სიჩქარის საზომებს, კაბელსა და სადენს, აგრეთვე ფართო მოხმარების ისეთ საგნებს, როგორიც არის მაცივრები, სარეცხი მანქანები, მაგიდის ვენტილატორები.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას კარგი მაჩვენებლებით შეხვდა სახალხო მეურნეობის საბჭოს კვების მრეწველობაც. ამასთან ერთად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა, რომ ღვინის, კონსერვის, ხორცისა და რძის მრეწველობა უკვე ამჟამად ვეღარ ართმევს თავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებას.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალი წესის დიდი უპირატესობა განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს კაპიტალურ მშენებლობაში. მაგრამ, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, მშენებლობის დარგში ჩვენ ყველაფერი როდი გავაკეთეთ ბოლომდე. ჩვენი აზრით, საჭიროა გადაისინჯოს რესპუბლიკაში საიჯარო სისტემის არსებული სტრუქტურა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით.

იმ მუშაობამ, რომელიც 18 თვეში სახალხო მეურნეობის საბჭომ გასწია, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საწარმოო გეგმების შესრულებაზე. 26 დარგობრივი სამმართველოდან, კომბინატიდან და ტრესტიდან, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან სახალხო მეურნეობის საბჭოს, საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვერ შეასრულეს მხოლოდ საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა და საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტმა. მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით საერთო პროდუქციის გამოშვების 1958 წლის გეგმა შესრულებულია 104,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია. ამასთან, თუ საერთო პროდუქციის ზრდის ტემპებმა 1957 წელს 1956 წელთან შედარებით 5,8 პროცენტი შეადგინა, 1958 წელს 1957 წელთან შედარებით შეადგინა უკვე 10,7 პროცენტი.

მაგრამ მთლიანად მრეწველობის მუშაობის მაღალი მაჩვენებლები კიდევ არ მოწმობს იმას, რომ ჩვენ ამოგწურეთ მთელი ის დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ახალმა ორგანიზაციულმა ფორმამ გადაგვიშალა. სახალხო მეურნეობის საბჭოს 458 საწარმოდან საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა ვერ შეასრულა რამდენიმე საწარმომ, რომლებმაც ქვეყანას დააკლეს 127 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია.

ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩამორჩენის მიზეზებია უწინარეს ყოვლისა მუშაობის უუნარო ორგანიზაცია, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, არსებული რეზერვების არასრულად გამოყენება, ნაკლები ზრუნვა წარმოებაში შრომის მოწინავე მეთოდებისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, შრომატევად სამუშაოთა არასაკმაო მექანიზაცია. ეს ეხება ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას და განსაკუთრებით ქვანახშირის მრეწველობას, რომლებიც ჯერ კიდევ გაუმართავად მუშაობენ, რისთვისაც სავსებით სამართლიანად გაგვაკრიტიკა თავის მოხსენებაში ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ.

როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ისე ჩვენს რესპუბლიკაშიც უპირატესი განვითარება ეძლევა მძიმე მრეწველობას, განსაკუთრებით ქიმიურ, ელექტროტექნიკურ და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობას, აგრეთვე ენერგეტიკას. ეს გარემოება ხარისხობრივად ამაღლებს ჩვენი მრეწველობის მუშაობის დონეს, შესაძლებლობას იძლევა მთლიანად გამოვიყენოთ წარმოებაში უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდობა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მთელი მოცულობა შვიდწელიწადში 1,8-ჯერ იზრდება.

მრეწველობის დიდი ზრდა მიღწეული იქნება როგორც ჩვენი საწარმოების არსებული ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქციისა და სრულყოფის გზით, ისე ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავებით.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით პირობას ვაძლევ ყრილობას, რომ ჩვენ დაუღალავად ვიბრძოლებთ იმ დიდი ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც რესპუბლიკის მრეწველობას შვიდწლიანმა გეგმამ დაუსახა. **(ტაში).**

ამხ. ზ. ი. თავზარაშვილის სიტყვა

საქართველოს კპ გორის რაიკომის პირველი მდივანი

ამხანაგებო! გორის რაიონის მშრომელები გულდასმით განიხილავენ და სწავლობენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს პარტიის XXI ყრილობაზე და სახავენ კონკრეტულ გზებს დიადი შვიდწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად.

პარტიის XXI ყრილობისათვის მზადების დღეებში ჩვენი ქვეყნის ბევრ საწარმოსა და კოლმეურნეობაში შეიქმნა და იქმნება კომუნისტური შრომის ბრიგადები. გორის რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სარემონტო-ტექნიკურ სადგურში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა ამ შესანიშნავ მოძრაობას. გორის სარემონტო-ტექნიკური სადგურის მუშაკები იბრძვიან იმისათვის, რომ თავდადებული შრომით მოიპოვონ ეს საპატიო წოდება. დღეისათვის რაიონის 15 კოლმეურნეობის 35 ბრიგადა იბრძვის კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოსაპოვებლად.

როგორც ცნობილია, გორის რაიონში შენდება საქართველოში პირველი დიდი საკოლმეურნეო-ბათაშორისო წყალსადენი, რომელიც წყაროს წყალს მიაწვდის რაიონის 41 სოფელს, საბჭოთა მეურნეობას და საწარმო-დაწესებულებებს. 1959 წელს წყალსადენის საბოლოოდ დასამთავრებლად ვთხოვ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამოგვიყონ 600 ტონა სხვადასხვა დიამეტრის ფოლადის მილი.

რაიონის კოლმეურნეობები ქალაქ გორში ააშენებენ საკოლმეურნეო ასფალტ-ბეტონის ქარხანას. ვვარაუდობთ, რომ შვიდწლედის დასასრულს რაიონის ყველა მთავარი და სასოფლო გზა კეთილმოწყობილი, ხოლო მოსახლეობის 40 პროცენტის ეზოები მოასფალტებული გვქონდეს.

დიდია წარმატებები, რომლებიც ჩვენი რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გადიდდა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, გაიზარდა კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები, ამაღლდა შრომადღის ხვედრი.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩვენ მიერ სოფლის მეურნეობის წამყვან დარგში — მებაღეობაში — მოპოვებული მიღწევები. შარშან ხილის საერთო მოსავალმა შეადგინა 40.000 ტონა 1951 წელს მიღებული 10 ათასი ტონის ნაცვლად, ხოლო სახელმწიფოს მიეყიდა დაახლოებით ოთხჯერ მეტი ხილი. შესამჩნევად გაიზარდა ყურძნის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის წარმოება და მოსავლიანობა. 1958 წელს 1953 წელთან შედარებით თითქმის ოთხჯერ გაიზარდა ძროხების წველადობა. შარშან სახელმწიფოს მივყიდეთ 18.362 ცენტნერით მეტი რძე, 3.309 ცენტნერით მეტი ხორცი და სხვ.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია რესპუბლიკაში გაშენდეს 78 ათასი ჰექტარი ბაღები და ვენახები. ამ დავალების მნიშვნელოვანი წილი გორის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უწევს. ამჟამად რაიონში არის 9.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები. ვვარაუდობთ, რომ შვიდწლედში ხეხილის ბაღების საერთო ფართობი აუვანილ იქნება 13.000 ჰექტარამდე, ხოლო ვენახებისა — 1.700 ჰექტარამდე. 1965 წლისათვის ქვეყანას მივცემთ 50 ათას ტონა ხილს და 9.000 ტონა ყურძენს.

შვიდწლედის მანძილზე რაიონში ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე რძის წარმოება გაიზრდება 1957 წლის 88 ცენტნერიდან 210 ცენტნერამდე. ერთიორად და მეტად გაიზრდება ხორცის წარმოებაც. ეს მეტად პასუხსაგები დავალებაა და იგი ჩვენგან დაძაბულ მუშაობას მოითხოვს.

გორის რაიონის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ დიადი შვიდწლიანი გეგმის დავალებათა სასახელოდ შესასრულებლად. **(ტაში).**

ამხ. კ. ი. ბარიგიანის სიტყვა

საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი

ამხანაგებო! სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

უკანასკნელ წლებში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუსუსტებელი ყურადღების მეოხებით, გაუმჯობესდა რესპუბლიკის მშრომელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება. ამ მიზნებისათვის მილიონობით მანეთი დაიხარჯა.

რესპუბლიკის რაიონულ ცენტრებსა და ქალაქებში აშენდა 20 წყალსადენი, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია 19 წყალსადენი. წყლის მიწოდების საერთო სიმძლავრე აყვანილია 1 ათას ლიტრამდე წამში. აშენდა ბევრი აბანო, საპარიკმახერო და კომუნალური დანიშნულების სხვა ობიექტები.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მარტო საბინაო მშენებლობაზე (ქალაქ თბილისის ჩაუთვლელად) დაიხარჯოს 400 მილიონი მანეთი, მაშინ როცა წინა შვიდ წელიწადში ამაზე დაიხარჯა 100 მილიონ მანეთზე ნაკლები. ფართო გაქანებას მიიღებს საბინაო მშენებლობა რესპუბლიკის სასოფლო რაიონებში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და სხვა ქალაქებში.

ხორციელდება ღონისძიებანი წყალსადენების მშენებლობის დასაჩქარებლად. ყველა რაიონული ცენტრის მოსახლეობის უხრუნველსაყოფად წყლის საჭირო რაოდენობით. გათვალისწინებულია აგრეთვე განხორციელდეს ღონისძიებანი მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგების გასაუმჯობესებლად.

საჭიროდ მიმაჩნია მოვახსენო ყრილობას, რომ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო, ხელმძღვანელობს რა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებებით, ვარაუდობს რამდენადმე შეცვალოს თანაფარდობა ადგილობრივი მეურნეობის საწარმოების მიერ პროდუქციის გამოშვებაში. ჩვენში ამჟამად სჭარბობს ფონდირებული ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის გამოშვება, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სჭარბობდეს ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის გამოშვება.

ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს თავის დაპირებას, მიცემულს პარტიის წარსულ ყრილობაზე. 1958 წელს ჩვენ გამოვუშვით 97 მილიონი ცალი აგური. ნაცვლად 1957 წელს გამოშვებული 73 მილიონი ცალისა. ნავარაუდევია აგურის წარმოება შვიდწლედში აყვანილ იქნას სულ მცირე 200-210 მილიონ ცალამდე წელიწადში.

ვიღებთ აგრეთვე ღონისძიებებს კრამიტის, კირისა და სხვა საშენი მასალების წარმოების გასაადიდებლად.

რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდება საკონსერვო მრეწველობა. ნავარაუდევია შვიდი წლის განმავლობაში აშენდეს 28-30 საკონსერვო ქარხანა.

ამხანაგებო! პირობას ვაძლევ საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ მთელ ჩვენს ძალებსა და ცოდნას მოვახმართ იმას, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენში არსებული რეზერვები და შესაძლებლობანი ფართო მოხმარების საგნების წარმოების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. **(ტაში).**

ამხ. თ. ა. კაპანაძის სიტყვა

ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ამხანაგებო! ფართოდ გაშალერა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXI და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობების შესახვედრად რაიონის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების 1958 წლის გეგმა 109,9 პროცენტით შეასრულეს.

ზესტაფონელმა კოლმეურნეებმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში გარკვეული წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში. 1958 წელს კოლმეურნეობებმა მიიღეს 55.443 ცენტნერი ყურძენი, რაც 22.960 ცენტნერით აღემატება 1956 წელს მიღწეულ მაჩვენებელს.

1958 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 78.770 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე 1957 წელს.

ეს წარმატებები იმას როდი ნიშნავს, რომ რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში ნაკლოვანებები არ იყოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1958 წლის მაისში განიხილა საკითხი პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ.

ამ საკითხზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის სახელმძღვანელო დოკუმენტი გახდა და ყველა ღონისძიებას ვახორციელებთ იმისათვის, რომ პირნათლად შევასრულოთ ის ამოცანები, რომლებიც ამ დადგენილებით რაიონის მშრომელების წინაშეა დასახული.

შვიდწლიანი გეგმით რაიონის კოლმეურნეობებმა 1965 წლისათვის 1.000 ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გააშენონ. ამავე პერიოდში უნდა აღვადგინოთ 800 ჰექტარი ვენახი. ეს გეგმა რომ შესრულდეს, საჭიროა ყოველწლიურად გაშენდეს დაახლოებით 300 ჰექტარი ვენახი. ამ ფართობზე ვენახის გაშენებისათვის ნიადაგის მომზადება ხელით რთული საქმეა, ხოლო სარემონტო-ტექნიკური სადგურის არსებული პარკი სანახევროდაც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. კოლმეურნეობებს კი არ გააჩნიათ ტრაქტორები ვენახის გაშენებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად. სარემონტო-ტექნიკური სადგური გაიცდის სხვა მანქანა-იარაღების ნაკლებობასაც. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გითვალისწინოს ეს მდგომარეობა.

წელს კოლმეურნეობები და კოლმეურნეები სახელმწიფოს მიჰყიდიან იმაზე გაცილებით მეტ ყურძენს, ვიდრე წინათ. მაგრამ რაიონის ყურძნის გადასამუშავებელ პუნქტებში არსებული დანადგარები ამ ყურძნის გადამუშავება დიდად გაჭიანურდება და დანაკარგებსაც გამოიწვევს. საჭიროა გათვალისწინებულ იქნას რაიონში არსებული საზამთრო, ვაშვევის და პირველი სვირის ყურძნის მიმღები პუნქტების გაფართოება, რეკონსტრუქცია და სულ ცოტა ორი ახალი პირველადი მეღვინეობის ქარხნის აშენება მაინც. პარტიის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის მიერ არაერთხელ იყო დასმული საკითხი სოფელ ქვედა საქარის სამი კოლმეურნეობის ბაზაზე არგვეთის საბჭოთა მეურნეობის გაფართოების შესახებ. მაგრამ იგი დღემდე არ გადაწყვეტილა. ვფიქრობთ ამ საკითხს მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. **(ტაში).**

ამხ. ს. ა. შარაძენიძის სიტყვა

ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი

ამხანაგებო!

შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ახალი, განსაკუთრებული აღმავლობის ნიშნით ცხოვრობენ და შრომობენ ამჟამად რუსთავის მეტალურგები. ამ აღმავლობის მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის გაჩაღებული მოძრაობა.

№ 2 ბრძმედის ბრიგადამ, რომელსაც არჩილ ძამაშვილი ხელმძღვანელობს, ჩვენს ქარხანაში პირველმა იკისრა ვალდებულება იშრომოს და იცხოვროს კომუნისტურად. ამხ. ძამაშვილის მაგალითს მიბაძეს ამირან ფანცულაიას და მიხეილ სპანდარაშვილის მეფოლადეთა, ავთანდილ ჯაჯანიძის გამგლინავთა, არჩილ მერაბიშვილის მილგამგლინავთა და თენგიზ მჭედლიშვილის მტვირთავთა ბრიგადებმა.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში რუსთავის მეტალურგთა კოლექტივმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სიმძლავრეთა მოსამატებლად, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დასანერგავად, ახალ სახეობათა პროდუქციის ასათვისებლად და მისი გამოშვების გასაადიდებლად.

მაგრამ, წარმოების საერთო ზრდის მიუხედავად, ქარხნის მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

1958 წელს ქარხანამ 1957 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდა ფოლადის გამოდნობა. და მან მაინც ვერ გაართვა თავი სახელმწიფო გეგმას. ფოლადის წარმოებაში ჩამორჩენამ გამოიწვია ჩამორჩენა მზა ნაგლინის გამოშვებაში, ქარხნის ყველა მაჩვენებლის გაუარესება.

განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების შედეგად მარტენის საამქრო ამჟამად გამოყვანილია ჩაკარდნიდან და რიტმულად მუშაობს, უზრუნველყოფს სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას როგორც ფოლადის გამოდნობის, ისე წარმოების მთელი ციკლის ხაზით.

1959-1965 წლებში ჩვენი ქარხნის წინაშე დიდი ამოცანები დგას. 1958 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ჭილების წარმოება. ამუშავდება ახალი საწარმოო სიმძლავრენი. საამქროები აღიჭურვება უახლესი მექანიზმებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას. მთლიანად ავტომატიზებული იქნება მილსაგლინავი საამქროს ორივე დგანი და აგლოსაბრძმედე საამქროს აგლოგანყოფილება.

ქარხნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება და წარმოების არარენტაბელობის ლიკვიდაცია. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ მივაღწიოთ ქარხნის რენტაბელობას და მოვალენი ვართ მთლიანად გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობანი.

1959 წლის დამლევს ყარადაღის გაზის მიღება შესაძლებლობას მოგვცემს შედარებით ძვირი მაზუთი შეეცვალოთ მაღალკალორიული იაფი გაზით და ამავე დროს გავადიდოთ აგრეგატების წარმადობა და გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი. დასახულია საბრძმედე წარმოებაში ბუნებრივი გაზის გამოყენების მოწინავე სამამულო ტექნოლოგიის გადმოღება. წინასწარი გამოანგარიშებით, მარტო ეს ღონისძიება ქარხანას ყოველწლიურად მისცემს 20-25 მილიონ მანეთ ეკონომიას.

მინდა დელეგატების ყურადღება გავამახვილო 1960 წლისათვის მზადებაზე. 1959 წლის კაპიტალდაბანდებათა გეგმამ, თუ იგი სათანადოდ არ იქნა კორექტირებული, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ქარხნის მუშაობას 1960 წელს. საქმე ის არის, რომ გამოყოფილი თანხები ვერ უზრუნველყოფს წარმოების ზრდისა და ახალ სიმძლავრეთა ამუშავების დასახული დონისძიებების განხორციელებას.

ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს ქარხნის დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის საქმეში.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ რუსთავის მეტალურგების სახელით პირობა მოგცეთ, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ქარხანა, დასძლევს რა ჩამორჩენას ფოლადის წარმოების დარგში და ბეჯითად მუშაობს რა მიმდინარე წლის პირველივე დღიდან, ღირსეულად გაართმევს თავს შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების გადაწყვეტას. **(ტაში).**

ამხ. ი. ს. დოლიძის სიტყვა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ამხანაგო დელეგატებო! საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ისტორიულ პერიოდში უდიდეს წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და ამჟამად მთელ ძალებს იხმარს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელების საქმეს.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც განუხრელად ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებით, დიდი მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა გასწიეს, რომ თვითეული მშრომელისათვის გაეცნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

რესპუბლიკის ყველა მსხვილ საწარმოსა და კოლმეურნეობაში ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ფურცლებზე ჩატარდა ფართო მასობრივი კამპანია. ეს ფურცლები ეხებოდა ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ხასიათის ისეთ საკითხებს, როგორიც არის ადგილობრივ ნედლეულზე ფონდირებული ნედლეულისაგან დამზადებული პროდუქციის გამოშვება, ადგილობრივ ნედლეულზე ფონდირებული ნედლეულისაგან ნაკლოვანებებისა და ნაკლოვანებებისა ბრძოლა, ადგილობრივ ნედლეულზე ფონდირებული ნედლეულისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

კამათი ამხ. ვ. პ. მჭავანაძის მოხსენების გამო

(დასასრული).

რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები შეემატა, მაგრამ მწერლები ჯერ კიდევ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისტორიულ თემატიკას. თუმცა ეს უკანასკნელი ინტერესსმოკლებული არ არის საბჭოთა ლიტერატურისათვის, მაგრამ მისთვის ძირითადი და განმსაზღვრელი უნდა იყოს დღეგანდელი ცხოვრების პრობლემების, მომავლის პერსპექტივების მხატვრული გადაწყვეტა.

ქართველი მწერლები და თეატრალური ხელოვნების მუშაკები ღრმად უნდა ჩაუფიქრდნენ იმ ფაქტს, რომ ჩვენს დრამატურგებსა და თეატრებს უკანასკნელ ხანს არ შეუქმნიათ თანამედროვეობის პიესები და სპექტაკლები, რომ თანამედროვე რეპერტუარის გაუმჯობესების მხრივ მიმდინარე თეატრალურ სეზონშიც რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ამ ბოლო ხანს რესპუბლიკის წამყვან თეატრებში თანამედროვეობის თემაზე დადგმული ორიოდე სპექტაკლი ვერ უპასუხებს მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნებს. მათში არ იგრძნობა ჩვენი ცხოვრების მაჯისცემა, ისინი უმთავრესად მიძღვნილი არიან უმნიშვნელო ყოფითი თემებისა და საკითხებისადმი. მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება ქართული კინემატოგრაფიის მუშაობაც.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა კადრების იდეურ-მხატვრული აღზრდის საქმეს. უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში უდავოდ ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედებითი თაობა იზრდება, თუმცა მას ჯერ კიდევ დიდი და გულმოდგინე სწავლება სჭირდება. ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლისა და მხატვრის შემოქმედებას ჯერ კიდევ აკლია მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა, მხატვრული აზრის სიღრმე, ხშირ შემთხვევაში საკუთარი სტილის ძიებას ახალგაზრდა შემოქმედი წერის ფორმალისტურ მანერამდე მიჰყავს. ჩვენი შემოქმედებითი კავშირების პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის სათანადოდ როდი ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. ზოგიერთ შემოქმედებითს კავშირში და მათს პარტიულ ორგანიზაციებში, მწერალთა, მხატვართა კავშირებში ჯერ კიდევ სუსტად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და იდეოლოგიური მუშაობა. ამით აიხსნება ის ცალკეული მახინჯი გამოვლინებანი, რომლებსაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ვხვდებით ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციაში. პარტიულ ორგანიზაციებს შემოქმედებისა და ყურადღების სფეროდან არ უნდა გამორჩეთ არც ერთი მწერალი და ხელოვნების მუშაკი, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად გაუწიონ მას დახმარება ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომისათვის, ხალხის ერთგული სამსახურისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ახალგაზრდა მწერლების მუშაობის, თარგმნილი ლიტერატურის მდგომარეობის, ჟურნალების „ცისკრისა“ და „მნათობის“ შესწავლამ ერთხელ კიდევ გამოააშკარავა სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც შემოქმედებითს ორგანიზაციებს აქვთ მუშაობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ქართველ მწერალთა ყრილობა, რომელიც ამ დღეებში გაიმართება, პრინციპულ შეფასებას მისცემს თანამედროვე ქართული ლიტერატურის მდგომარეობას და ამით ხელს შეუწყობს ჩვენი მწერლების, განსაკუთრებით დრამატურგების, შემოქმედებითი მუშაობის გაცხოველებასა და გაძლიერებას.

ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ღირსეულად ხვდებიან სკკპ XXI ყრილობას. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მშრომელები, კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეული წვლილი შეიტანონ პარტიის მიერ დასახული გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში. (ტაში).

ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის სიტყვა

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი

ამხანაგებო! გასულ 1958 წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებმა საიჯარო სამუშაოთა მათთვის დაწესებული გეგმა 104,7 პროცენტით შესრულეს. საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა შესრულებულია 100,6 პროცენტით.

ცნობილია, რომ მშენებლობის წარმატება მთლიანად დამოკიდებულია სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაზე და ახალი, პროგრესული კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენებაზე.

ამასთან დაკავშირებით მინდა მოვახსენო ყრილობას, თუ რას წარმოადგენდა სამშენებლო ინდუსტრია წარსულში, რა გვაქვს ამჟამად და როგორია მომავლის პერსპექტივები.

1956 წელს ჩვენს სისტემაში შემავალი ყველა ტრესტიდან მხოლოდ № 1 ტრესტს ჰქონდა საკმაოდ აღჭურვილი საწარმოო ბაზა, ხოლო ქალაქ ქუთაისში № 4 ტრესტს მცირე სიმძლავრის დამხმარე საწარმოები. ყველა დანარჩენ ტრესტს კი ფაქტიურად არავითარი საწარმოო ბაზა არ მოეპოვებოდა.

1956-1957 წლებში შეიქმნა ახალი და გაფართოვდა არსებული საწარმოები, რამაც შესაძლებლობა მოგვცა 1957 წელს გამოგვეშვა 100 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია. 1958 წელს უკვე გამოშვებულ იქნა 133 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია. 1958 წელს გამოშვებულ იქნა 58 ათასი კუბმეტრი, ანუ 30 პროცენტით მეტი ასაწყობი რკინაბეტონი, 80 ათასი კვადრატული მეტრი სადურგლო ნაკეთობანი, ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1957 წელს.

სამშენებლო ინდუსტრიის განუხრელმა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს მტკიცედ დამდგარიყვნენ ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

სამინისტროს მიერ უკანასკნელ წლებში საწარმოთა გაფართოებისათვის და ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის განხორციელებული ღონისძიებანი შესაძლებლობას იძლევიან გავითვალისწინოთ 1959 წელს წარმოების მოცულობის შემდგომი მკვეთრი გადიდება.

შვიდწლედის წლებში დიდად განვითარდება სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრია.

1965 წელს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საწარმოები გამოუშვებენ: 3,5-ჯერ მეტ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებს, თითქმის 6-ჯერ მეტ მსხვილ სკკედლე ბლოკებს საბინაო და სამოქალაქო მშენებლობისათვის, 4-ჯერ მეტ პარკეტს, 3,5-ჯერ მეტ სადურგლო ნაკეთობას, 2-ჯერ მეტ სატიხრე ფილებს საბინაო და სამოქალაქო მშენებლობისათვის, ვიდრე 1958 წელს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის განკუთვნილ კაპიტალდაბანდებათა გეგმაზე, რომელიც შვიდწლედისათვის გათვალისწინებულია საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ. ამ გეგმით კაპიტალდაბანდებათა ძირითადი მოცულობა დასახულია შვიდწლედის უკანასკნელი წლებისათვის. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის განკუთვნილი სახსრების ასეთი განაწილება არ შეესაბამება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდას შვიდწლედის წლების მიხედვით.

დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული მშენებლობის სამინისტროს უზრუნველყოფა მოწყობილობითა და მანქანებით აგებული და მშენებლობის პროცესში მყოფი საწარმოებისათვის. მე ვთხოვ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას ეს მდგომარეობაც გაითვალისწინოს.

სამინისტროს დღემდე არა აქვს მიმდინარე წლის სამუშაოთა პროგრამა, რაც შესაძლებლობას გვისპობს მივცეთ შესაბამისი დავალებანი ჩვენს ტრესტებს და დავსახოთ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს წარმატებით შესრულებას. ამის გამო სამინისტრო იძულებული იყო მოეთხოვა ტრესტებისათვის მაქსიმალურად დაეჩქარებინათ სამუშაოები გარდამავალ ობიექტებზე. სამუშაოთა გეგმის უქონლობა გვაიძულებს ვთხოვოთ ცენტრალურ კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს — მისცენ დამფინანსებელ ბანკებს მითითება სატიტულო სიების მიღებამდე გარდამავალი ობიექტების მშენებლობა დაფინანსონ გასული წლის მეოთხე კვარტალის ფაქტიური შესრულების მოცულობით.

ჩვენი სამინისტროს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ხარვეზია. ჩვენ დიდ ვალში ვართ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების წინაშე. ჩვენ თავი ვერ გავართვით სამუშაოებს ჭიათურაში, მთლიანად ვერ ავითვისეთ სახსრები კურორტების მშენებლობისათვის და ჩამოვრჩებით მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობაში. ჩვენი მუშაობის ეს ნაკლოვანებანი ხშირად იმის შედეგია, რომ მშენებლობებზე სამუშაოები ცუდად, მოუფიქრებლად არის ორგანიზებული და რომ სამშენებლო ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელს არ მოეპოვება მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

როგორც თვით სამინისტროს, ისე მის სამშენებლო ტრესტებს მოეთხოვებათ ძალიან სერიოზული ყოველდღიური მუშაობა იმისათვის, რომ აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი. ჩვენი ვალია წარმატებით და უმოკლეს ვადაში გადავწყვიტოთ ეს ამოცანა.

ნება მიბოძეთ მშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით პირობა მივცე ყრილობას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით მთელ ჩვენს ცოდნას, ძალასა და უნარს მოვახმართ მომავალი სამშენებლო გეგმების წარმატებით განხორციელებას. (ტაში).

ამხ. მ. ი. კუჭავას სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა და ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებმა ცხადყვეს, რომ ჩვენმა ქვეყანამ სწრაფი ნახტომი გააკეთა სიუხვისაკენ, რომ შექმნილია ის მტკიცე საფუძველი, რომელზეც უნდა აშენდეს შემდგომი წარმატებანი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში გავრცელებულ მრავალ ძვირფას ტექნიკურ კულტურათა შორის, რომელთა შემდგომი განვითარების შესახებ ვრცელი ანალიზია მოცემული ამხ. ვ. პ. მჭავანაძის მოხსენებაში, თამბაქოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

უკანასკნელ წლებში თამბაქოს წარმოება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. 1953 წელთან შედარებით თამბაქოს ნედლეულის წარმოებამ 12.700-დან 17.900 ტონას მიაღწია, ხოლო პირველი და მეორე ხარისხის ნედლეულის ხვედრითი წონა 3-დან 9,5 პროცენტამდე გაიზარდა.

საქართველოს თამბაქოს წარმოებაში აფხაზეთი წამყვან როლს ასრულებს; აქ მოსავალი ჰექტარზე 12,6 ცენტნერს უდრის, ხოლო გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის და გუდაუთის რაიონის სოფელ კულანურხვის კოლმეურნეობებმა თვითეულ ჰექტარზე 21 ცენტნერი ნედლეული მიიღეს. მაღალ მოსავალს იღებენ ლაგოდეხის, მარნეულისა და აჭარის კოლმეურნეობები.

შვიდწლიანი გეგმით 1965 წლისათვის თამბაქოს წარმოებამ 20.000 ტონას უნდა მიაღწიოს და, რაც მთავარია, გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს ნედლეულის ხარისხი. ყრილობაზე სრულიად სწორად დაადგინა საკითხი პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბღაჟბამ იმის შესახებ, რომ ავამაღლოთ თამბაქოს წარმოების კულტურა. თამბაქო სუბტროპიკული და თანაც მეტად სათუთი კულტურაა, მისი წარმოება შეიცავს მცენარის მოყვანის, შრობისა და შემდგომი დამუშავების რთულ პროცესებს. ამ საქმეში კი ჩვენ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. კერძოდ, ლაგოდეხის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში თამბაქო უნდა ირგვებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მზრალად მოხნულ ფართობებზე, მაგრამ მთელი რიგი კოლმეურნეობები ამ წესს არ იცავენ.

აჭარისა და აფხაზეთის რაიონებში ყოველთვის არ ხნავენ თამბაქოსათვის ნიადაგს 18-20 სანტიმეტრის სიღრმეზე. ამ მხრივ სხვა ღონისძიებებთან ერთად ჩვენ მოგვიხდება აჭარისა და აფხაზეთის რაიონებისათვის რელიური დახმარების აღმოჩენა მცირეძალოვანი ტრაქტორებით მომარაგების საქმეში.

განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში დავიწყებას მიეცა თამბაქოსათვის განკუთვნილ ნაკვეთებზე ცერცველისა და შვრიის ნარევის თესვა და მისი მწვანე სასუქად გამოყენება. აფხაზეთის თამბაქოს საცდელი სადგურის მონაცემები ამტკიცებენ, რომ ცერცველისა და შვრიის გამოყენების შედეგად თამბაქოს მოსავლიანობა დიდდება 60 პროცენტამდე, ხოლო ხარისხი ორჯერ უმჯობესდება.

ფაქტია, რომ ამჟამად მაღალია თამბაქოს თვითღირებულება. ამიტომ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს მექანიზაციის განხორციელება თამბაქოს წარმოებაში.

უნდა ითქვას, რომ მეთამბაქოობა სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის მივიწყებულ უბანს წარმოადგენს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აფხაზეთისა და ლაგოდეხის ზონალური სადგურები გადაეცეს სოხუმის მომავალ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, სადაც უნდა მოეწყოს ფართო სამეცნიერო-საკვლევი მუშაობა საქართველოში მეთამბაქოობის საქმის გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

ამხანაგებო! კომუნიზმისათვის ბრძოლის გრანდიოზული ამოცანები მოითხოვენ არა მარტო საწარმოო ძალთა სწრაფ ზრდას, არამედ კომუნიზმის მშენებელთა პოლიტიკურ შეგნებულობის ამაღლებას, კულტურის ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას.

მიმდინარე შვიდწლედში ქართველი ხალხის კულტურული აღმავლობის პროცესი კიდევ უფრო მეტ გაქანებას მიიღებს. კულტურის ობიექტების მშენებლობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 300 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. აშენდება ათობით კინოთეატრი, კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სტამბა.

შვიდწლიანი გეგმის პროექტი ითვალისწინებს სოფლის სტაციონარული კინოდანადგარების რიცხვის 1.000-მდე გაზრდას, გარდა ამისა საჭიროა გაიხსნას სულ ცოტა 1.500 საკოლმეურნეო კინოდანადგარი, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას არსებული კლუბები და აშენდეს ახალი საკოლმეურნეო კინოთეატრები.

შვიდწლედის პროექტით გათვალისწინებულია კულტურის 335 სასოფლო დაწესებულების გახსნა. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმოთა მონაწილეობით ყოველ რაიონში ადგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს კულტურის დაწესებულებათა ქსელის მშენებლობისა და განვითარების შვიდწლიანი გეგმა.

ეფიქრობთ, დადგა დრო კულტურის სასოფლო დაწესებულებები თანდათანობით, მაგრამ უფრო გაბედულად გადავცეთ კოლმეურნეობებს, პირველ რიგში ეკონომიურად უფრო ძლიერ მეურნეობებს. ამით თავიდან იქნება აცილებული ამჟამად არსებული შეუსაბამობა, რის შედეგად კლუბი ან ბიბლიოთეკა ცალკეა, ხოლო კოლმეურნეობა — ცალკე.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში ნათქვამია: „საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნისტურ მშენებლობასა და ახალი ადამიანის აღზრდაში, თანამედროვე პირობებშიც კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, უფრო სრულად ასახონ საბჭოთა ხალხის ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის“.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ შემოქმედებითს საქმიანობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

ჩვენი მწერლები, დრამატურგები, მხატვრები ხშირად ჩივიან, რომ ძნელია მონახო თემა, რომელიც გამოდგება თანამედროვე ცხოვრების შესახებ საინტერესო ნაწარმოების შექმნისათვის. მაგრამ ეს ასე არ არის. მიღწეულ მნიშვნელოვან წარმატებათა ფონზე ქვეყნის ყოველ კუთხეში, ყოველ ქარხანაში, ყოველ კოლმეურნეობაში მოიპოვება მხატვრის ფუნჯის ან მწერლის კალმის ღირსი უმდიდრესი მასალა. საჭიროა მხოლოდ, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებსაც სულით და გულით პატივს სცემს მთელი ხალხი, უკეთ, უფრო ახლოს იცნობდნენ თავიანთ თანამედროვეებს, რომლებიც დაზგასთან ან საკოლმეურნეო მინდორში შრომობენ.

მეცნიერების განუხრელ პროგრესს და კულტურის აღმავლობას სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ხალხის ბრძოლაში მატერიალური და კულტურული დოვლათის სიუხვის შექმნისათვის. თუ გავითვალისწინებთ ამას და თუ მივიღებთ მხედველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებების, აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორების წახალისების დადებით მნიშვნელობას, ნათელი გახდება, რომ მომწიფდა საკითხი საქართველოში დავაწესოთ რესპუბლიკური სახელმწიფო პრემიები.

ჩვენი აზრით, ასეთ პრემიებს „საბჭოთა საქართველოს“ სახელი უნდა ერქვას და მათი მინიჭება ყოველწლიურად ხდებოდეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღეს — 25 თებერვალს.

ამხანაგებო! უახლოესი მომავლისათვის დასახულია კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა. იგი აღგვაფრთოვანებს თავისი მრავალფეროვნებით, გაქანებითა და დიდი მასშტაბით. შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს იქით მოჩანს ხვალინდელი დღე მილიონობით საბჭოთა ადამიანისა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენიას მიყავს კეთილდღეობის, კულტურისა და ბედნიერების ახალი მწვერვალებისაკენ. (ტაში).

ამხ. ე. პ. ტაკიძის სიტყვა

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქ. ქუთაისის მშრომელებმა ღრმა კმაყოფილების გრძნობით განიხილეს და მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების ისტორიული დოკუმენტები.

დელეგატთა ყურადღება მინდა შევაჩერო იმაზე, თუ როგორ შეხვდნენ ჩვენი ქალაქის მშრომელები საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას და რა პერსპექტივები ისახება რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრის — ქუთაისის წინაშე შვიდწლედში.

ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში, 1958 წლის სახელმწიფო დავალებანი ვადამდე, 15 დეკემბრისათვის შეასრულეს და დედა სამშობლოს გეგმის გადამეტებით ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია მისცეს.

პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სერიოზული წარმატებები მოიპოვა ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ.

შვიდწლედი ავტოქარხნელთა წინაშე სერიოზულ ამოცანებს აყენებს. 1965 წლისათვის 1958 წელთან შედარებით, ავტომობილების გამოშვებას ქარხანა 2,5-ჯერ გაზრდის, ხოლო სათადარიგო ნაწილებისას — თითქმის 3-ჯერ.

ამასთანავე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ 1959 წლისათვის მგეგმავი ორგანოების მიერ ქარხანაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ჩასატარებლად მცირე თანხებია გამოყოფილი. გათვალისწინებული არ არის საწნეხე საამქროსა და სათადარიგო ნაწილების დამზადებისათვის აუცილებელ სამუშაოთა წარმოება. შემცირებული ოდენობით არის გათვალისწინებული თანხები საბინაო მშენებლობაზე. ქარხნის ინტერესები მოითხოვს დამთავრდეს კანალიზაციის კოლექტორისა და თბოელექტროცენტრალის მეორე რიგის მშენებლობა. ეს საკითხი რამდენჯერმე იყო დაყენებული ზემდგომი ორგანოების წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით დადებითად არ არის გადაჭრილი. ვთხოვთ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და მინისტრთა საბჭოს დახმარება გაგვიწიონ აღნიშნული საკითხების მოგვარებაში.

მრეწველობაში მოპოვებული წარმატებები მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნაკლოვანებანი არა გვაქვს. ჩვენი ქალაქის ზოგიერთი საწარმო გეგმებს ვერ ასრულებს ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით, ზოგიერთი მთგანი რიტმულად არ მუშაობს. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბოლო მოუღონ ამ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას. შვიდწლედში სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდება ქალაქის კეთილმოწყობისათვის. კომუნალური მშენებლობის ხაზით გათვალისწინებულია 180,2 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი.

ყველაფერი ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას, მშენებელ ორგანიზაციებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ქმედით ღონისძიებებს ახორციელებს პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის კიდევ უფრო ამაღლებისა და მათი მუშაობის სრულყოფისათვის.

ქალაქ ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით ღირსეულ წვლილს შეიტანს შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების საქმეში. (ტაში).

ამხ. ს. ს. მატოიანის სიტყვა

საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი

ამხანაგო დელეგატებო! ჩვენი ქვეყნის ხალხები სკკპ XXI ყრილობას ხვდებიან ახალი შესანიშნავი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მცირე წარმატებებს როდი მიაღწიეს ახალქალაქის რაიონის მშრომელებმაც.

მარცვლეული და პარკოსანი კულტურების საშუალო მოსავალმა გეგმით გათვალისწინებული 12,2 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე 13,5 ცენტნერი შეადგინა. კარტოფილი მიღებულია ჰექტარზე 108 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 90 ცენტნერისა. რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებმა და ბრიგადებმა ჰექტარზე მიიღეს 20 ცენტნერზე მეტი მარცვლეული და 200-220 ცენტნერი კარტოფილი.

სერიოზული მუშაობაა გაწეული უკანასკნელ წლებში მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. მაგალითად, 1953 წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გადიდდა წველადობა. სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარედ მუშაობს ყრილობის დელეგატი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ქოჩოიანი, გასულ წელს თვითეულ ძროხაზე 2.214 კილოგრამი რძე მიიღეს. რაიონმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა რძისა და ხორცის დამზადების გეგმები.

ეს წარმატებანი მიღწეულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი დახმარების მეოხებით.

ზოგიერთ წარმატებას რომ აღვნიშნავთ, უნდა ვთქვათ, რომ რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრი გადიდების დიდი შესაძლებლობებია. საკმარისია ითქვას, რომ 59 კოლმეურნეობიდან 47-მა ვერ შეასრულა წველადობის გეგმა, ხოლო 15 კოლმეურნეობამ 1957 წელთან შედარებით წველადობა შეამცირა. რაიონში ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მხოლოდ 7 ძროხა მოდის.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა გავადიდოთ ძროხების სულადობა შვიდწლედში დაახლოებით 3.500 სულით.

ხორცის წარმოების დარგში ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა რომ შევასრულოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა მეტი ყურადღება მივაქციოთ მეღორეობის, როგორც მეცხოველეობის ყველაზე მალე მწიფებადი დარგის განვითარებას. არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, რომ გასულ წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ხორცის საერთო რაოდენობაში ღორის ხორცი 8 პროცენტს შეადგენდა.

ახლა დასახულია ღონისძიებანი მეღორეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. უკვე წელს უნდა ჩავბაროთ სახელმწიფოს სულ ცოტა 20-25 პროცენტი ღორის ხორცი.

მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში დახმარება გვესაჭიროება რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ. ჩვენ ვთხოვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაგვიწიონ პრაქტიკული დახმარება, რომ უკვე მიმდინარე წელს განვახორციელოთ მექანიზაცია თუნდაც 10 ფერმაში, რომლებსაც პირუტყვის ტიპური სადგომები აქვთ.

პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვის მსვლელობაში ჩვენი რაიონის მშრომელებმა წინადადება წამოაყენეს შეიქმნას ახალქალაქში ახალი სარეწველო საწარმოები ადგილობრივი რესურსებისა და ნედლეულის ბაზაზე. ჩვენში შეიძლება შეიქმნას რბილი და უხეში ტყავის დასამუშავებელი ქარხანა, სახამებლის ქარხანა, ხორცის კომბინატი, შეიძლება მოეწყოს სპეცტანსაცმლის, მწველავებისა და მწყემსებისათვის საჭირო სხვადასხვა ტანსაცმლის საკერავი საამქრო.

ვთხოვ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გითვალისწინოს მომდინარე წელს ახალქალაქში ავტომატური ტელეფონის საგზურის მშენებლობა. ჩვენს რაიონს ესაჭიროება უფრო ოპერატიული და კონკრეტული დახმარება ჯანმრთელობის დაცვის რესპუბლიკური სამინისტროს მხრივ. ეს სამინისტრო ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ ექიმებით დააკომპლექტოს სამედიცინო დაწესებულებები.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ პირობა მივცე საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობას, რომ ჩვენი რაიონის მშრომელები ძალღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რათა წარმატებით შეასრულონ ჩვენს წინაშე შვიდწლედში მდგომი ამოცანები. (ტაში).

ყრილოგის დელეგატები



საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან) — მახარაძის რაიონის ხოფელ თხინვალის კოლმეურნეობის აგრონომი სოციალისტური შრომის გმირი გ. დოლიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჩახავა, პოეტი ფ. ხალვაში.

ჩანახატი საქართველოს სახალხო მხატვრის უ. ჯაფარიძისა.

დღეს იწყება მოსახლეობის საკავშირო აღწერა

პლაკატი მხატვარ რ. შაშიკაშვილისა.

ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝᲗᲐ ᲓᲐᲛᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.

Ი. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ საღამოს თბილისის ვაგზალზე თავი მოიყარეს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მონაწილე აღმწერებმა. ისინი გეგმის მიხედვით განაწილდნენ იმ სამგზავრო მატარებლებზე, რომლებიც საკავშირო აღწერას ექვემდებარებიან. ასეთი მატარებლებია, კერძოდ, თბილისი-მოსკოვი, თბილისი-ბაკო, თბილისი-ერევანი და სხვ.

სულ ვაგზალზე შეიკრიბა 7 საინსტრუქტორო ბრიგადა, რომლებიც შედგებოდა 7 ინსტრუქტორ-კონტროლიორისა და 198 აღმწერისაგან.

მატარებლებში აღწერა დაიწყო ინსტრუქციის მიხედვით ღამის 11 საათზე, ხოლო იმ მატარებლებში, რომლებიც შედარებით გვიან გავიდნენ, გასვლის მომენტში. აღწერა გაგრძელდა ორ საათს და წარმატებით ჩაიარა. აღწერის წარმატებას ხელი შეუწყეს როგორც მატარებლების გამცილებელთა შემადგენლობამ, ისე თვით მგზავრებმა, რომლებიც სწორად და ზუსტად უპასუხებდნენ სააღწერო ფურცელში დასმულ ყველა კითხვაზე.

Ს. ᲙᲝᲛᲑᲐᲮᲘᲫᲔ,
ქ. თბილისის სტატისტიკური სამმართველოს უფროსი ეკონომისტი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ

დიდი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრის — ქუთაისის ცხოვრებაში მოსახლეობის 1939 წლის აღწერის შემდეგ. ქალაქს შეემატა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები და სასწავლებლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებები; გაჩნდა ახალი მაგისტრალები, ქუჩები და მოედნები, მთელი საცხოვრებელი კვარტალები, საავტომობილო და მანქანათა სამშენებლო ქარხნების მუშათა დიდი კეთილმოწყობილი დაბები. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა.

ამით აიხსნება, რომ, წინა აღწერებისაგან განსხვავებით, მოსახლეობის 1959 წლის აღწერისათვის ქალაქში შეიქმნა გაცილებით მეტი საღწერო განყოფილება, საინსტრუქტორო და საღწერო უბანი. მოსახლეობის აღწერაზე იმუშავებს 351 კაცი.

ქუთაისი ყოველმხრივ მზად არის აღწერისათვის. საბოლოოდ დაუზუსტეს ქალაქის საზღვრები მეზობელ რაიონებთან და სოფლებთან, გარეთვე ქალაქის სქემატური გეგმა საცხოვრებელი კვარტალების აღნიშვნით; შედგენილი და დაზუსტებულია სახლთმფლობელობათა და საცხოვრებელი სახლების სიები. ყველა ახალ ქუჩას, შესახვევსა და ჩიხს, ყველა ახალ სახლს მიეკუთვნა სახელწოდება და ნომერაცია. მოძრაობაში მყოფი მოსახლეობის აღწერისათვის (ვაგზლებში, სასტუმროებში, საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებში და სხვ.) ცალკეა შექმნილი 7 საინსტრუქტორო და 75 საღწერო უბანი.

მოსახლეობის აღწერასთან დაკავშირებით მოეწყო ლექციები, მოხსენებები, საუბრები. ქალაქის ყველა თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ლოზუნგები და პლაკატები, რომლებიც მოსახლეობას მოუწოდებენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღწერაში.

Შ. ᲯᲐᲕᲐᲮᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

თბილისში წარმატებით დამთავრდა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის მზადება. აღმწერებმა ინახულეს ყოველი სახლი და ბინა, მათ მოსახლეობას განუმარტეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა აღწერასთან დაკავშირებით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: თბილისის ოქტომბრის რაიონის პირველი საღწერო განყოფილების აღმწერები (მარცხნიდან) ე. ბოჭორიშვილი, ც. თევზაძე, თ. დუმბაძე, ლ. მეფარიშვილი სახლების შემოვლის შემდეგ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ

ᲐᲘ ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

მოსახლეობის აღწერას სპეციალურად მომზადებული მუშაკები მოახდენენ საცხოვრებელ სახლებში, იმ საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შენობებში, სადაც ცხოვრობენ ცალკეული ადამიანები ან ოჯახები, ყველა საავადმყოფოში, სანატორიუმში, სასტუმროში, კლუბთა სახლში, აეროპორტებსა და საავტობუსო სადგურებში, რკინიგზის სადგურებსა და ვაგზლებში, შორი მიმოსვლის და ადგილობრივ მატარებლებში (რომელთა გზაში ყოფნის ხანგრძლივობა 5 საათზე ნაკლები არ არის), ასევე საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის ნავსადგურებში, ნავმისადგომებში და გემებზე 1959 წლის 14-15 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობის მიხედვით.

თვითეულმა მოქალაქემ უნდა დაიმახსოვროს და დაახვედროს აღმწერს სააღწერო ფურცელში ჩასაწერად ზუსტი და სწორი პასუხი იმის შესახებ, თუ ოჯახის რომელი წევრი 14-15 იანვრის ღამის 12 საათზე სად იმყოფებოდა, ან ოჯახში ამ დროს ვინ იყო დროებით მოსული.

აღწერა მთელ საბჭოთა კავშირში იწყება დღეს დილის 8 საათიდან და გასტანს 22 იანვრამდე. ამ დროის განმავლობაში ყველა მოქალაქეს უნდა ახსოვდეს და მზად ჰქონდეს პასუხი აღმწერისათვის 14-15 იანვრის ღამის 12 საათის მდგომარეობის მიხედვით. მოსახლეობის მოძრაობის პუნქტებში (რკინიგზის სადგურებში, მატარებლებზე, ნავსადგურებში, გემებზე და სხვ.) აღწერა დაიწყო 14-15 იანვრის ღამის 11 საათზე.

ცნობებს ყველას შესახებ, ბავშვთა, მძიმე ავადმყოფთა და დროებით არმყოფთა გამოკლებით, აღმწერი მიიღებს პირადი გამოკითხვის წესით; მძიმე ავადმყოფებსა და დროებით არმყოფებზე ცნობები მიიღება ოჯახის წევრთაგან. ბავშვებზე ცნობები შეტანილ იქნება მშობლების ან აღმზრდელების ჩვენებით.

იმისათვის, რომ არ მოხდეს მოსახლეობის აღწერისაგან გამოტოვება ან პირიქით აღწერაში ორჯერ გატარება, აღწერის დროს და საკონტროლო შემოვლების დროს შევსებული იქნება საკონტროლო ბლანკები და გაიცემა ცნობები აღწერაში გატარების შესახებ.

ცნობები აღწერაში გატარების შესახებ მიეცემა ყველა დროებით მაცხოვრებელს. გარდა ამისა, ცნობები მიეცემა ყველა იმათ, ვისზეც შედგეხილ იქნა საკონტროლო ბლანკი, აგრეთვე ყველა იმათ, ვინც განაცხადებს, რომ 1 თებერვლამდე მოუხდებათ გასვლა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან. ცნობის შენახვა საჭიროა 20 თებერვლამდე.

საკონტროლო ბლანკი შეივსება იმ შემთხვევაში, როცა საეჭვოა, გაიარა თუ არა მოქალაქემ აღწერა სხვა ადგილზე. ეს ბლანკი შეიცავს სააღწერო ფურცლის ყველა კითხვას. იგი შევსების შემდეგ გადაიგზავნება იმ ადგილზე, სადაც აღწერა უნდა გაევლო იმ პირს, ვისზეც ივსება საკონტროლო ბლანკი. თუ აღმოჩნდა, რომ აღნიშნულ პირს აღწერა არ გაუვლია, მაშინ ბლანკის მონაცემებს შეიტანენ სააღწერო ფურცელში.

მოსახლეობის აღწერაში მონაწილეობა საპატიო საქმეა. მასში მონაწილეობს ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი. თავის დროზე მოსახლეობის აღწერის მონაწილენი იყვნენ ისეთი დიდი ადამიანები, როგორც ლ. ნ. ტოლსტოი (მოსკოვის 1882 წლის აღწერა) და ა. ნ. ჩეხოვი (სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერა).

ეჭვი არ არის, რომ თვითეული საბჭოთა მოქალაქე აქტიურად გამოეხმაურება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას, დროზე გაივლის აღწერას, ყოველნაირად შეუწყობს ხელს მის ორგანიზებულად ჩატარებას, რათა არც ერთი საცხოვრებელი სახლი, არც ერთი ადამიანი არ იქნას გამოტოვებული აღწერის დროს.

Ი. ᲑᲣᲠᲯᲐᲫᲔ,
საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მოსახლეობის აღწერის ჩატარების განყოფილების უფროსის მოადგილე.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერის შემდეგ ოცი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ძირეულად შეიცვალა თბილისის ლენინის რაიონის ეკონომიური და კულტურული სახე. მაშინ რაიონის საზღვარი დაახლოებით ღრმა-ღელის ხევამდე მიდიოდა, დღეს კი იგი მდინარე გლდანამდე აღწევს. რაიონი გაფართოვდა თბილისის ზღვის მიმართულებითაც.

1959 წლის აღწერას უდიდესი მნიშვნელობა ექნება რაიონის დღევანდელი სახის ნათლად წარმოდგენისათვის. აღწერის მასალები დაგვანახვებენ ღრმა ცვლილებებს რაიონის ცხოვრებაში. რაიონში შექმნილია 4 საღწერო განყოფილება და 29 საინსტრუქტორო უბანი. ინსტრუქტორ - კონტროლიორებმა და აღმწერებმა კარგად ჩაატარეს საკავშირო აღწერისათვის მოსამზადებელი მუშაობის პირველი ეტაპი და 11 იანვრის ორგანიზებულად დაიწყეს წინასააღწერო შემოვლა.

ლენინის რაიონში ყველა პირობაა შექმნილი მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის.

Ლ. ᲛᲖᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

★ რესპუბლიკაში შექმნილია 235 საღწერო განყოფილება, 1.411 საინსტრუქტორო უბანი და 6.682 საღწერო უბანი. გარდა ამისა, საღწერო განყოფილებები შექმნილია სასტუმროებში, კოლმეურნის სახლებში, რკინიგზის და საზღვაო ვაგზლებში, ავტობუსის სადგურებში და სხვ.

★ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში აღწერის საკითხებზე წაკითხულია 1.188 ლექცია, 2.260 მოხსენება. მოეწყო 17.700-მდე საუბარი და კონსულტაცია. გამოიცა სპეციალური ბროშურები, პლაკატები და ლოზუნგები.

★ მოსახლეობის აღწერის მასალების დამუშავების ტექნიკური მოცულობა სსრ კავშირის მასშტაბით ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით: ყველა ტერიტორიული ერთეულის მიხედვით შედგენილ იქნება 156 ათასი ცხრილი, რომლებშიც მოცემული იქნება 100 მილიონი ჯამობრივი მაჩვენებელი. დამატებითი კომბინირებული დამუშავების დროს შედგენილ იქნება 400 ათასი ცხრილი 200 მილიონი მაჩვენებლით. გარდა ამისა, მცირე ტერიტორიული ერთეულების მიხედვით შედგება 54 ათასი ცხრილი 14 მილიონი ჯამობრივი მაჩვენებლით.

ᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

Ა. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡᲘ, 13 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ა. ი. მიქოიანი ეწვია კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტს, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია.

შეიტყეს რა ა. ი. მიქოიანის მისვლა უნივერსიტეტში, სტუდენტები გამოცვიდნენ სასწავლო შენობებიდან. ისინი გარს ერტყმიან მას, ცდილობენ მიუახლოვდნენ და ხელი ჩამოართვან საბჭოთა სტუმარს, მიესალმებიან ინგლისურ და რუსულ ენებზე.

უნივერსიტეტში ა. ი. მიქოიანი ესაუბრა სტუდენტთა და მასწავლებელთა ჯგუფს, რომლებიც საგარეოპოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის საკითხებზე მუშაობენ.

საუბრის დასაწყისში გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორი რ. ალენი. მან თქვა, რომ ეს შეხვედრა ფრიად მნიშვნელოვანია კალიფორნიის უნივერსიტეტის მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის. მე მახსოვს, თქვა მან, რა გულითადად შემხვდნენ 1957 წელს მოსკოვის უნივერსიტეტში. ახლა ჩვენ ყველანი მოხარული ვართ მივესალმოთ ჩვენს სტუმარს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს.

სიტყვა წარმოთქვა რა დამსწრეთა წინაშე, ა. ი. მიქოიანმა მათ და კალიფორნიის უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს გადასცა მხურვალე სალამი საბჭოთა ხალხისაგან. მე ვხედავ, რომ ამერიკის ინტელიგენცია, თქვა ა. ი. მიქოიანმა, დიდ ინტერესს იჩენს საბჭოთა კავშირისადმი. ეს ბუნებრივია. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში მოხდა უდიდესი ცვლილებები და ახლა საბჭოთა კავშირი გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. ახლა მილიარდამდე ადამიანი დაადგა სოციალიზმის გზას. ეს ისტორიის ფაქტებია და არ შეიძლება მათი უგულებელყოფა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, თქვა ა. ი. მიქოიანმა, სამწუხაროდ, ბევრ ტყუილს ავრცელებენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის შესახებ. მაგრამ მე ვფიქრობ, განაგრძო მან, წინაწარახვედმა არ უნდა დაჩლუნგონ თქვენი ინტერესი სსრ კავშირისადმი და სურვილი შეისწავლოთ საბჭოთა კავშირის ცხოვრება, რათა იქონიოთ მის შესახებ ფაქტებზე დამყარებული საკუთარი აზრი.

ა. ი. მიქოიანმა პასუხი გასცა უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა კითხვებზე, რომლებშიც გამოვლინდა მათი ცხოველი ინტერესი საბჭოთა ხალხის ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარისადმი.

ა. ი. მიქოიანმა დაწვრილებით უამბო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციაზე, რაც სსრ კავშირში მიმდინარეობს, იმაზე, რომ მთელი რიგი ფუნქციები, რომლებიც წინათ სახელმწიფოს ეკუთვნოდა, გადაეცა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და, კერძოდ, პროფკავშირებს.

ა. ი. მიქოიანმა უამბო აგრეთვე სსრ კავშირში შრომის ანაზღაურების გადასინჯვის ღონისძიებებზე, იმაზე, რომ საბჭოთა სახელმწიფო თანდათან სულ უფრო მეტად კისრულობს ზრუნვას ბავშვებისა და მოხუცებისათვის. უპასუხა რა კითხვაზე ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შესახებ, ა. ი. მიქოიანმა თქვა, რომ ასეთი საქონელი სსრ კავშირში წლითიწლობით სულ უფრო მეტი გამოდის.

სტუდენტებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ა. ი. მიქოიანს გააცნეს ზანგი სტუდენტი ქალი კამელა სიმონი — სტუდენტთა ადგილობრივი გაზეთის ერთ-ერთი რედაქტორი. ა. ი. მიქოიანმა გულთბილად ჩამოართვა ხელი ზანგ ქალიშვილს და მამობრივად ესაუბრა მას, რამაც სტუდენტთა ერთსულოვანი მოწონება გამოიწვია. როდესაც ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები ტოვებდნენ კალიფორნიის უნივერსიტეტს, სტუდენტებმა ერთსულოვანი ტაშით გააცილეს ისინი.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი იყო სადილზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა ქალაქ ლოს-ანჯელოსის საერთაშორისო საქმეთა საბჭომ. სადილზე იყვნენ სამხრეთ კალიფორნიის მსხვილი სამრეწველო, სავაჭრო და საფინანსო კორპორაციების წარმომადგენელნი, ლოს-ანჯელოსის კულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

სადილზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მალიკოვი და სხვა პირები, რომლებიც ა. ი. მიქოიანს ახლავან ამერიკაში მოგზაურობისას.

სადილზე ა. ი. მიქოიანმა და სამხრეთ კალიფორნიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ბევრ საკითხზე, რომლებიც მათ აინტერესებდათ.

დღის მეორე ნახევარში ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები ავტომანქანებით გაემგზავრნენ ჰოლივუდში, სადაც დაათვალიერეს კინოკომპანია „პარამაუნტის“ სტუდია.

ᲚᲝᲡ-ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡᲘ, 13 იანვარი. (საკდესის სპეც. კორ.). 12 იანვარს, სალამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა სატელევიზიო სადგურ „ლოს-ანჯელოს ტაიმსის“ თხოვნით ამ სადგურის კორესპონდენტს ჰოლ კოუტს მისცა ინტერვიუ, რომელსაც სატელევიზიო ქსელით გადასცემდნენ 25 წუთის განმავლობაში.

გააცნო რა ა. ი. მიქოიანი ტელემაყურებლებს, კოუტსმა თქვა, რომ ეს შეიძლება იყოს ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ინტერვიუ ამგვარ გადაცემათა მთელი სერიიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის ვიზიტის მიზანია, თქვა მან, კეთილი ნების ატმოსფეროს შექმნა და დაძაბულობის შენელება ჩვენს ორ ქვეყანას შორის. მან გამოთქვა რწმენა, რომ ა. ი. მიქოიანის პასუხი საინტერესო იქნება ყველა ტელემაყურებლისათვის, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა.

— ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ი. მიქოიანის ვიზიტის მიზანი, კეთილი ნების ატმოსფეროს შექმნა და დაძაბულობის შენელება ჩვენს ორ ქვეყანას შორის — ამბობს სატელევიზიო სადგურ „ლოს ანჯელოს ტაიმსის მიმომხილველი პოლ კოუტსი.

უპასუხა რა კითხვაზე, ფიქრობს თუ არა იგი, რომ მდგომარეობას ბერლინში შეიძლება მოჰყვეს ომი, ა. ი. მიქოიანმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს ომი და რომ საბჭოთა წინადადებანი ბერლინიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანისა და დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გადაქცევის შესახებ სწორედ მშვიდობის უზრუნველყოფას ისახავენ მიზნად.

— დარწმუნდით თუ არა თქვენ, რომ ამერიკელ ხალხს არ სურს ომი, — შეეკითხა კორესპონდენტი.

— თუ გავითვალისწინებთ იმ ადამიანთა გაგნწყობილებას, რომლებსაც მე შევხვდი, — უპასუხა ა. ი. მიქოიანმა, — ამერიკელ ხალხს სურს მშვიდობა.

კითხვაზე, რა არის მთავარი დაბრკოლება მშვიდობის განმტკიცების გზაზე, ა. ი. მიქოიანმა უპასუხა:

— ცივი ომი. რომ ბოლო მოვუღოთ ცივ ომსა და ნამდვილი ომის საფრთხეს, საჭიროა ვაუმჯობესოთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა.

შემდეგ კოუტსმა თქვა, რომ იგორ მოისეევის მოეცვანენ იყვნენ მშვენიერი საბჭოთა „ელჩები“, და შეეკითხა, იცის თუ არა ა. ი. მიქოიანმა, რა შთაბეჭდილება მოახდინა თვით მათზე ამერიკამ. ა. ი. მიქოიანმა უპასუხა, რომ საბჭოთა მოცეკვავეები აღტაცებული იყვნენ ამერიკის საზოგადოებით და გულთბილი მიღებით, რომელიც საზოგადოებამ მათ გაუმართა. ჩვენ ვაფასებთ კარგ დამოკიდებულებას ჩვენი „ელჩებისადმი“ და ამერიკელ მსახიობებს უფრო ცუდად როდი ვეზვდებით, ვიდრე თქვენ ჩვენსას. ასე რომ ამ მხრივ ჩვენს შორის მყარდება სრული ნაცვალგება.

კორესპონდენტი შეეკითხა, ნამდვილად განზრახული აქვს თუ არა საბჭოთა კავშირს გაუსწროს ამერიკას ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ.

ნამდვილად განზრახული აქვს, უპასუხა ა. ი. მიქოიანმა. — მაგრამ ჩვენ ვაპირებთ ამ მიზანს მივაღწიოთ ჩვენი შრომით, და ამან არ შეიძლება ზიანი მიაყენოს ამერიკელებს.

აქვს თუ არა საბჭოთა ადამიანებს არასწორი წარმოდგენა ამერიკელებზე, შეეკითხა კორესპონდენტი. შეიძლება ჰქონდეთ, უპასუხა ა. ი. მიქოიანმა. მაგრამ საბჭოთა ადამიანების საერთო წარმოდგენა შეერთებულ შტატებზე გაცილებით უფრო სწორია, ვიდრე ამერიკელთა წარმოდგენა საბჭოთა კავშირზე.

კითხვაზე, ხომ არ მოისურვებს იგი გაუზიაროს ტელემაყურებლებს იდეები, რომლებიც მას განზრახული აქვს გამოთქვას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინაშე მომავალი შეხვედრის დროს, ა. ი. მიქოიანმა უპასუხა, რომ ამჯობინებს არ გაუზიაროს.

Ლ. ᲕᲔᲚᲘᲩᲐᲜᲡᲙᲘ,
Ვ. ᲞᲐᲠᲐᲛᲝᲜᲝᲕᲘ.

ᲣᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲘᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲠᲪᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲢᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲝᲠᲣᲑᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲡᲣᲠᲐᲗᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ, 11 იანვარი. (საკდესის). დღეს მთავარმა ასტრონომიულმა ობსერვატორიამ (პულკოვოში) მიიღო წელოვნური კომეტის — ნატრიუმის ღრუბლის ამოფრქვევის ფოტოსურათის ანაბეჭდი. ნატრიუმის ღრუბელი გამოტყორცნა საბჭოთა კოსმოსურმა რაკეტამ 3 იანვარს 3 საათსა, 56 წუთსა და 20 წამზე.

ეს უნიკალური სურათი გადაიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პულკოვოს ობსერვატორიის ასტრონომიულმა სადგურმა კისლოვოდსკის რაიონში — 2130 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. სამთო სადგურის უფროსმა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ნ. გნევიშევმა, რომელიც ლენინგრადში ჩამოვიდა, საკდესის კორესპონდენტს აცნობა:

— საბჭოთა კოსმოსური რაკეტის მთვარისაკენ გაშვების მომენტიდან ჩვენი სადგურის კოლექტივი განუწყვეტლივ მორიგეობდა, მზად ჰქონდა მთელი სამეცნიერო აპარატურა. ცის იმ უბნის ფოტოგადაღება, სადაც რაკეტის მოძრაობის ტრაექტორია გადიოდა, დაიწყო ჯერ კიდევ ნატრიუმის ღრუბლის გამოტყორცნის მომენტამდე და გრძელდებოდა რამდენიმე ხანს ამის შემდეგ. ამრიგად, შესაძლებელი გახდა სურათის მიღება, რომელზეც მკაფიოდ აღბეჭდილია თვით ნატრიუმის ღრუბელი მისი მაქსიმალური სიკაშკაშის მომენტში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომიული საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ა. ა. მიხაილოვმა, გაეცნო რა უნიკალური სურათის ანაბეჭდს, საკდესის კორესპონდენტს განუცხადა:

— ეს დიდმნიშვნელოვანი ფოტოდოკუმენტია. იგი საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ რაკეტის ორბიტა და გვიჩვენებს, რომ მისი მოძრაობა ხდებოდა წინასწარ გაანგარიშებათა შესაბამისად.

XXVI ᲡᲐᲑᲭᲝᲓᲠᲐᲪᲐᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა სსრ კავშირის საჭადრაკო პირველობის ფინალური შეჯიბრების მეოთხე ტური.

ამ დღის შეხვედრათა უმრავლესობა შედეგიანი აღმოჩნდა — 10 პარტიიდან მხოლოდ 3 გადაიდო.

სსრ კავშირის ჩემპიონი მ. ტალი წინა ტურის მსგავსად მაღალი ოსტატობით იბრძოდა და დაამარცხა პირველობის ერთ-ერთი ძლიერი მონაწილე გროსმაისტერი ე. გელერი.

პირველი დამარცხება განიცადა დ. ბრონშტეინმა. მან ციანტოტში დაუშვა უხეში შეცდომა ვ. კორჩნოისთან და 32-ე სვლაზე დანებდა.

ბ. გურგენიძისა და ბ. სპასკის პარტია დაძაბული ბრძოლის შემდეგ გადაიდო. ბ. სპასკის ზედმეტი პაიკი და მოგების შანსი აქვს. გადაიდო აგრეთვე გროსმაისტერების მ. ტაიმანოვისა და ი. ავერბახის და ლ. პოლუგაევსკისა და ტ. პეტროსიანის პარტიები.

პ. კერეს-ა. ლუტიკოვის, ნ. კროგიუს-ს. ფურმანის, ა. ნიკიტინ-ე.ვასიუკოვისა და ი. იუზტმან-რ. ნეუმეტდინოვის პარტიებში ბრძოლა ყაიმით დამთავრდა.

კიეველმა ე. გუფელდმა დაამარცხა რ. ხოლმოვი.

წინა ტურიდან გადადებულ პარტიებში თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ ე. გუფელდი-ვ. კორჩნოი და ი. ავერბახი-რ. ხოლმოვი.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არიან: მ. ტალი, ვ. კორჩნოი და ე. ვასიუკოვი, რომლებსაც ორნახევარ-ორნახევარი ქულა აქვთ.

დღეს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გათამაშდება. გადადებული და გამოტოვებული პარტიები.

Ა. ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲜᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. მარიამ დიმიტრის ასული კოვრიგინა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. სერგი ელადიმერის-ძე კურაშოვი სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲦᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ ᲔᲥᲕᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების პირველი რესპუბლიკური შეკრება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა სასკოლო საწარმოო ბრიგადების პირველი რესპუბლიკური შეკრება, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა.

გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკაში სტავროპოლის მხარის მოსწავლეთა მაგალითისამებრ შეიქმნა 6 ათასზე მეტი საწარმოო ბრიგადა და რგოლი. ამ ხნის განმავლობაში ნორჩმა პატრიოტებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში და მშენებლობებზე გამოიმუშავეს მილიონზე მეტი შრომადღე, მოკრიფეს ათასობით ტონა ჩაის ფოთოლი და ხილი, გააშენეს ასობით ჰექტარი ახალი ვენახი და ბაღი.

შეკრებაზე დელეგატთა შორის იყვნენ — ნორჩი მეჩაიეები, მეცხოველეები, მევენახეები, მომავალი ხარატები, მშენებლები და სხვ.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ხ. დოლიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. ა. კვაჭაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი გ. ნ. ჯიბლაძე, მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ბრიგადირები, სკოლა-კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სტავროპოლელი სტუმრები.

შეკრება გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. მოხსენებით „მოსწავლეთა სასკოლო ბრიგადების 1958 წლის მუშაობის შედეგები და ახალი 1959 წლის ამოცანები“ გამოვიდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. მგელაძე.

შემდეგ ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ნორჩი პატრიოტები — საწარმოო ბრიგადების წევრები.

**შეკრების მონაწილეთ გულთბილი სალამითა და კეთილი რჩევა-დარიგებით მიმართეს ვ. ი.